ლელა

№150 (12 220)

28 ივნისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოისა ევროპის ნაკრებში!

30 ივნისს, ათენში, ადგილობრივი ეროვნული გუნდი ევროპის ნაკრებს დაუპირისპირდება. ევროპის საუკეთესო 15 კალათბურთელს შორის საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისაც ითამაშებს. მის გვერდით ევროვარსკვლავთა სრული კრებული იქნება: იგნასიო დე მიგელი (ესპანეთი), პეჟა სტოიაკოვიჩი (სერბეთი), ადამ ვოიჩიკი (პოლონეთი), ტომას ვან დენ შპიგელი (ბელგია), ალექსეი სავრასენკო (რუსეთი), ნიკოლა ვუჩიჩიჩი (ხორვატია), პასკალ როლერი (გერმანია), ანდრეა პეჩილე (იტალია), დრორ ხაჯაჯი (ისრაელი), სანი ბეჩიროვიჩი (სლოვენია), მარკო პოპოვიჩი (ხორვატია), იანის ბლუმსი (ლატვია), იბრაჰიმ ქუთლუაი (თურქეთი), ვიტალი ფრიმონი (რუსეთი).

ევროპის ნაკრების სათადარიგოთა სკამზე იქნება დეიან ბოდიროგა, რომელმაც კარიერა წლეულს დაასრულა და მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს. რაც შეეხებათ მწვრთნელებს, ბერძნების წინააღმდეგ ევროპელებს ჟელკო ობრადოვიჩი (სერბეთი) და კარლო რეკალკატი (იტალია) გაუძღვებიან.

აქვე, ბოისას სამომავლო გეგმებზეც მოგახსენებთ. ის "მონტეპასკისთან" კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებს, მაგრამ თუ სად ითამაშებს გაისად, ჯერ არ გაურკვევია.

ვაჟა სიმონიშვილი

გიორგი ონიანი (მარცხნივ) და გიორგი სეთურიძე კარიერას, ალბათ, გერმანიაში გააგრძელებენ

ცხადაძე სოფიდან წავიდა

ალტერნატივა გოგიჩაიშვილია?

საკლუბო ამბები 2

ოლიმპი

ქართველებს აფრიკელები ცვლიან

ითამაშებს თუ არა აზოტი ევროპაზე?

9

სეთურიძე, ონიანი და კანდელაკი

გზად კარლ ცაისისკენ

2

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი

ცხადაძის ნაცვლად გოგიჩაიშვილი?

უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობამ შვებულება უკვე დაამთავრა და ახალი სეზონისთვის მზადებასაც შეუდგა. მათ რიცხვში არაა ბოლნისის "სიონი". საქმე ისაა, რომ კლუბის ფინანსური მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. უფრო ზუსტად კი, ამ გუნდის მომავალი გაურკვეველია. დღეს მხოლოდ ერთი რამაა ცნობილი, "სიონი" ახალ სეზონში კი ითამაშებს, მაგრამ რა მიზნებისთვის იბრძოლებს, ეს მალე გაირკვევა.

"სიონი" მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ** დატოვა, რომელსაც მოქმედი კონტრაქტი 1 ივლისს უმთავრდება.

როგორც შევიტყვეთ, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული **ზურაბ მელიქიშვილი** კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა. ეს ცნობა "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმაც** დაგვიდასტურა:

"ზურაბ მელიქიშვილი "სიონის" ხელმძღვანელებს, გია არევაძესა და დავით სილაგაძეს შეხვდა. მათთან საუბრის შემდეგ კი სააქციო საზოგადოება "მადნეულის" ხელმძღვანელ კობა ნაყოფიას დაუკავშირდა და კლუბის დაფინანსებაზე ესაუბრა. თავის მხრივ ნაყოფიამ 30 ივნისამდე დრო ითხოვა, რათა ეს საკითხი რუს პარტნიორებთან შეათანხმოს.

შესაძლოა, "მადნეულმა" თანხმობა განაცხადოს და კლუბის დაფინანსება კვლავ ითავოს, მაგრამ ერთი რამ ახლავე ცხადი – ქამრების მოჭერა მოგვიწევს და გუნდის ყველა წევრს, კამერუნელი ლეგიონერების გარდა, ხელფასები შეუმცირდება. ვინც ამ ახალ პირობებზე თანახმა არ იქნება, მას სხვა კლუბის მოძებნა მოუწევს.

მწვრთნელს რაც შეეხება, კახა ცხადაძეს მოქმედი კონტრაქტი 1 ივლისს უმთავრდება. ის ჩვენს გუნდში მუშაობას აღარ გააგრძელებს".



კახი გოგიჩაიშვილი

საინტერესოა, თუ ვინ შეცვლის ცხადაძეს. ჩვენი ინფორმაციით გუნდს დუბლების თავკაც **კახი გოგიჩაიშვილს** ჩააბარებენ. თუმცა ჯემალ ჭიპაშვილმა ეს ცნობა არც დაადასტურა და არც უარყო.

დავით ცაბაძე

ინტერტოტოს თასი. საპასუხო მატჩის წინ

ტობოლი თბილისში ბრძოლას ელის

„ზესტაფონის“ განადგურების მიუხედავად, "ტობოლი" თავს შემდეგ ეტაპზე გასულად სულაც არ მიიჩნევს. ყაზახები დარწმუნებულნი არიან, რომ თბილისში დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. „ტობოლის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გუნდის ორი წამყვანი ფეხბურთელის, ფარხატბეგ ირისმეტოვისა და ულუგბეკ ბაკაევის ინტერვიუები გამოქვეყნდა. აქვე გეტყვით, რომ ეს უკანასკნელი თბილისში ვერ ჩამოვა – აზიის თასის მატჩებისთვის უზბეკეთის ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული.

ირისმეტოვი: ქართველები სათანადოდ უნდა შევაფასოთ

- პირველ მატჩში ჩვენი მთავარი მიზანი საკუთარი კარის მშრალად შენახვა იყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც. ვინაიდან მეტოქეს საერთოდ არ ვიცნობდით, თავიდან ფრთხილი ტაქტიკა ავირჩიეთ, დაცვას უდიდეს ყურადღებას ვუთმობდით. მეორე ტაიმში კი უფრო თავისუფლად ავთამაშდით და შესანიშნავ შედეგს მივაღწიეთ.

- შეხვედრის საკვანძო მომენტი რომელი იყო?

- ნურბოლ ჟუმასკალიევის პირველმა გოლმა საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. მგონი, ქართველები ჩვენგან ასეთ კარგ თამაშს არ ელოდნენ.

- „ზესტაფონი“ სუსტი გუნდია?

- მთლად ასეც არ ვიტყოდი. ტექნიკური ბრაზილიელები ჰყავს, ერთ ეპიზოდში მეტოქემ კინაღამ გოლიც გაგვიტანა...

- მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია?

- ამაზე საუბარი ნაადრევია, ყველაფერი თბილისში გადაწყდება. ბევრჯერ მომხდარა, ამა თუ იმ გუნდს სამბურთიანი ჩამორჩენა გაექვითოს, ასე რომ, განსაკუთრებული ყურადღებით თამაში ვვმართებს.

- ესე იგი, საქართველოში მძიმე მატჩს გელით.

- დიახ. ქართულ ფეხბურთს დიდი ტრადიციები აქვს, იქაური ფეხბურთელები კვლავაც გამოირჩევიან ტექნიკით. „ზესტაფონი“ სათანადოდ უნდა შევაფასოთ, მაგრამ ფაქტია, ჩვენ წარმატების მეტი შანსი გვაქვს.

ბაკაევი: თბილისში რთული მატჩი იქნება

- „ტობოლის“ ხელმძღვანელობა უზბეკეთის ფედერაციის დაყოლიებას ცდილობდა, მაგრამ თბილისში თამაშის ნება არ დამრთეს. არა უშავს, დარწმუნებული ვარ, ბიჭები საკუთარ საქმეს ჩემ გარეშეც მშვენივრად გააკეთებენ. მეორე ეტაპზე გასვლის შესანიშნავი შანსი გვაქვს და მჯერა, მიზანს მივაღწევთ.

- რითი აჯობა „ტობოლმა“ „ზესტაფონს“?

- განწყობითა და გამარჯვებისკენ სწრაფვით. ყაზახეთის ჩემპიონატში ბოლო შეხვედრები წარუმატებლად ჩავატარეთ და ჩვენი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტირება გვმართებდა. „ზესტაფონის“ დამარცხებით დავამტკიცეთ, რომ მცირე კრიზისი დავძლიეთ.

- მწვრთნელისგან რა გქონდათ დავალებული?

- მან მე და ჩემს თანაგუნდელებს აქტიური პრესინგი დაგვავალა. ვფიქრობ, პირადად მე ნორმალურად ვითამაშე, ჩემ მიერ გატანილი გოლი სწორედ ამის დადასტურებაა.

- როდის იგრძენით, რომ გამარჯვება გარდაუვალი იყო?

- როცა მეორე გოლი გავიტანეთ. ქართველები მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ ელოდნენ და დაიბნენ. სამბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, თბილისში „ტობოლს“ რთული მატჩი ელის.

ლევან ჯანეზაშვილი

P. S. *აქვე გეტყვით, რომ შაბათს, „მიხეილ მესხზე“, „ზესტაფონისა“ და „ტობოლის“ განმეორებით დაპირისპირებას ხორვატი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი ვლად სვილიკოში იქნება, მას იგორ კრმარი და სინიშა პრეგუზა დაეხმარებიან. სარეზერვო არბიტრის ფუნქციებს ქართველი არსენ ნონიკაშვილი შეასრულებს.*

მსაჯთა დამკვირვებლად ბელარუს იური დუპანოვს მოავლენენ, უეფას დელეგატად კი – ლატვიელ იგორ მეჟეკისს.

ოლიმპი

ქართველებს აფრიკელები ცვლიან

რუსთავის "ოლიმპი" სეზონს განახლებული შემადგენლობით შეხვდება. რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს გუნდის დატოვება სურს. **რევაზ გოცირიძე** წავიდა, **ლაშა ქებაძე** თურქეთში ისინჯება. **გიორგი ონიანი** და **გიორგი სეთურიძე** მალე გერმანიაში გაემგზავრებიან.

გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ვარლამ კილასონიას** თქმით, გასარკვევია **თორნიკე აფციაურის** საკითხიც. მასაც უცხოეთში იწვევენ, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ იცის, წინადადება რამდენად რეალურია. გუნდში აღარ ვარჯიშობენ ნახევარმცველი **როსტიაშვილი** და თავდამსხმელი **შოთა ჯიქია**. მათ ახალი კლუბების მოძებნა მოუწევთ.

ვინ შეცვლის ამ ფეხბურთელებს? გუნდში ორი აფრიკელი უკვე ჩამოვიდა. **ერნესტ აკუსაგას** შემდეგ, რუსთავში განის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი **ჯერი აკაიონკუ** გამოჩნდა. ის თავდაპირველ სიაში არ ირიცხებოდა და გურულმა ბოლოს შეარჩია. მას მარჯვენა მცველის პოზიციაზე სეთურიძის შემცვლელად განიხილავდნენ. აკუსაგა კი ურიგოდ არ გამოიყურება და, სავარაუდოდ, მას კონტრაქტს გაუფორმებენ.

დღეს რუსთაველები "ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში, საღამოს ექვს საათზე თბილისის "მერანთან" საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ.

მერაბ მამულაშვილი

ვიტ ჯორჯია

ვეტერინართა კურსი უცვლელია

15 ივნისს შეკრებილი "ვიტ ჯორჯია" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. აქცენტი ამ ეტაპზე ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება, მალე კი საკონტროლო მატჩების ჯერიც დადგება. 30 ივნისს ვეტერინარები „ნორჩ დინამოს“ შეხვდებიან, 7 ივლისს კი გორის „დილას“. კიდევ ერთ მატჩს „ჯორჯია“ 14 ივლისს ჩაატარებს, მეტოქე მოგვიანებით გაირკვევა.

„საკმაოდ ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპია, ყველაფერი კარგადაა დაგეგმილი. ახლა სავარაუდო ახალწვეულებს ვაკვირდები, მათი დაკონკრეტებისგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ, მით უფრო რომ მათი გვარები გულშემატკივრებს არაფერს ეუბნება, თუმცა საინტერესო ახალგაზრდები არიან. კლუბი თავის ტრადიციულ კურსს აგრძელებს და აქცენტს კვლავ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს. ერთი სიტყვით, გუნდში სამუშაო სიტუაცია სუფევს, ყველანაირი წინაპირობა არსებობს საიმისოდ, რომ მომავალ სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ“, - ამბობს ვეტერინართა მთავარი მწვრთნელი **რამაზ მუშლაძე**.

16 ივლისს „ვიტ ჯორჯია“ შერჩეული შემადგენლობით უკრაინულ შეკრებაზე გაემგზავრება. ყირიმში გუნდი რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს და თბილისში სეზონის დაწყების წინ, 30 ივლისს დაბრუნდება. მორიგი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური 4 აგვიტოსთვისაა დანიშნული.

შეგახსენებთ, „ვიტ ჯორჯია“ **ოლეგ გველესიანმა** და **თენგიზ კობიაშვილმა** დატოვეს. რაც შეეხება **ალექსანდრე კვახაძეს**, რომლითაც რამენსკოეს „სატურნია“ დაინტერესებული – იგი დღესდღეობით, ვეტერინარებთან ერთად ვარჯიშობს. შესაძლოა, რუსეთში იგი უახლოეს დღეებში გაემგზავროს. არც ისაა გამორიცხული, კვახაძე „ვიტ ჯორჯიას“ უკრაინაში გაჰყვეს.

ლევან ჯანეზაშვილი

მეგრელაძე ისრაელში?

გია მეგრელაძე "ბაკიდან" წამოვიდა, თავისუფალი აგენტი გახდა და ახალ კლუბს ეძებს. აზერბაიჯანში დარჩენა აღარ ისურვა და თავდაპირველად, რუსთავის "ოლიმპში" შესთავაზეს თამაში. რამდენიმე ხანი საქართველოს ჩემპიონებთან ვარჯიშობდა კიდეც, მაგრამ გუნდს მაინც დაემშვიდობა.

რიგორც გვითხრა, არაა გამორიცხული უცხოეთში გააგრძელოს კარიერა. თუ სად, მას ჯერ არ აზუსტებს, ერთ-ერთი ვარიანტი ისრაელია.

ჩერნომორეცმა მჟავანაძე დაიბრუნა

კარლ ცაისი ქართველთა სამეულს ელის

ოდესის "ჩერნომორეცი" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. **სემიონ ალტმანი** გაათავისუფლეს და მის მოვალეობას **ვიქტორ დოგადაილო** ასრულებს.

მან უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" დაადასტურა, რომ გუნდმა მახაჩყალის "ანჟიდან" განათხოვრებული **კახა მჟავანაძე** დაიბრუნა. დოგადაილომ **ილია კანდელაკის** ტრანსფერზეც ისაუბრა - ქართველ ლეგიონერს მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისში" აქვს კარიერის გაგრძელების შანსიო.

რადგან "კარლ ცაისი" ვახსენეთ, მასთან დაკავშირებულ სხვა ქართულ სიახლეებსაც გაგაცნობთ: უახლოეს დღეებში გერმანიაში გაემგზავრებიან რუსთავის "ოლიმპის" მცველები **გიორგი ონიანი** და **გიორგი სეთურიძე**. როგორც შევიტყვეთ, წინასწარი მოლაპარაკება "კარლ ცაისსა" და ქართველი მოთამაშეების მენეჯერ **ახრიკ ცვეიბას** შორის წარმატებით დასრულდა და ნესითა და რიგით, ორივემ მეორე ბუნდესლიგის კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება უნდა გააფორმოს.

გერმანიაში ნასასვლელად გამზადებული ფეხბურთელები სიფრთხილეს იჩენენ, რუსთაველებთან მხოლოდ ვარჯიშობენ, საკონტროლო მატჩებში კი არ მონაწილეობენ. გუშინ ორივე ფეხბურთელს გავესაუბრეთ. უპირველესად, დავინტერესდით, როდის გაემგზავრებიან გერმანიაში.

გიორგი ონიანი:

- იენაში 1 ან 2 ივლისს გავემგზავრები - ამჯერად მარტო მე, გიორგი თბილისში დამელოდება.

- რატომ?

- ნაკრებს საფრანგეთსა და ლიტვაში რომ გავყევი, შენგენის ვიზა მივიღე და სანამ გიორგი ვიზას აიღებს, დრო გადის. ამიტომ წავალ, ჩამოვიტან კონტრაქტს და გერმანულის მცოდნეებთან და იურისტებთან ერთად განვიხილავთ, ისე, დაუფიქრებლად ხელის მოწერას არ ვაპირებ.

- სხვა რომელ გუნდებში გიწვევდნენ?

- მითხრეს, რომ მახაჩყალის "ანჟი" და ოდესის "ჩერნომორეცი" დაინტერესეს, მაგრამ მათზე ბევრი არც მიფიქრია. ჩემი სურვილი იყო ევროპაში წასვლა და მგონი, ეს უკვე რეალურია.

- ალბათ, უკრაინულ-რუსული წინადადებები უფრო სარფიანი იქნებოდა.

- დიახ, მაგრამ მე მინდა გავიზარდო, ეს კი გერმანიაში უფროა შესაძლებელი, ვიდრე რუსეთსა და უკრაინაში. ჩემი მომავლისთვის ასე აჯობებს. რა თქმა უნდა, სასურველია დიდი ხელფასი, მაგრამ ჯერ იმხელა არ ვარ, ფულს რომ დავხარბდე. გამდიდრება მერეც შესაძლებელი იქნება, თუკი გერმანიაში კარგად ვითამაშებ.

გიორგი სეთურიძე:

- ძალიან მიხარია, რომ პირდაპირ კონტრაქტები შემოგვთავაზეს. აქეთიქით სირბილს და გაურკვევლობას ეს ბევრად სჯობს.

- ნლეულს იშვიათი გამონაკლისები მოხდა, სანდრო იაშვილი "თუნთან" აფორმებს, შენ და ონიანი "კარლ ცაისთან".

- ეს ჩვენი მენეჯერის ახრიც ცვეიბასა და მამუკა ჯუღელის დამსახურებაა. მეორე ბუნდესლიგაში საქართველოდან ასე იოლად გადასვლა ძალიან ძნელია. მათ ეს მოგვიხერხეს. რაღა დავმალოთ და სიურპრიზი იყო.

- სხვა რომელი გუნდებში გიწვევდნენ? ვიცით, ოდესის "ჩერნომორეცი" და რამენსკოეს "სატურნი".

- მეც გიორგის სიტყვებს გავიმეორებ, რადგან ერთნაირად ვფიქრობდით - გერმანია საფეხბურთო თვალსაზრისით რუსეთსა და უკრაინაზე გაცილებით მაღლა დგას და არჩევანზე არც დავფიქრებულვარ.

დაბოლოს, უკრაინიდან საქართველოში გამოემგზავრა **ილია კანდელაკი**, რომელსაც იენაში 1-დან 4 ივლისამდე ელიან. მას კონტრაქტის პირობები აქვს დასაზუსტებელი. სხვათა შორის, კანდელაკს "ჩერნომორეცში" დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ გერმანელებთან უკვე შეთანხმებული იყო და დარჩენა იუარა.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

შაშიაშვილმა შტურმის მაისურა მოირგო

ტრანსფერის შემდეგ

№ 6 შაშის შაში დაუსვეს

ავსტრიულ "შტურმში" გადასული **გიორგი შაშიაშვილი** ახალ გუნდში 6 ნომრიანი მაისურით ითამაშებს. მომავალი სეზონისთვის მზადების პროცესში **ფრანკო ფოდას** გუნდი მორიგ ამხანაგურ მატჩს ხვალ, 29 ივნისს, "ზემრიახთან" გამართავს. თავდაპირველი ინფორმაციით, გიორგის 3-ნომრიანი მაისურა უნდა მიეღო, მაგრამ მერე გაირკვა, რომ **ფრანკ ვერლაატის** საპატივცემულოდ ამ ნომრით ამიერიდან არავინ ითამაშებს.

"27 წლის მცველი გიორგი შაშიაშვილი, რომელიც ეროვნული ნაკრების წევრია, საიმედო ფეხბურთელია და დიდ სარგებელს მოგვიტანს. გვჯერა შაშიაშვილი სათანადოდ შეცვლის ფრანკ ვერლაატს, რომელიც გუნდს გამოეთხოვა", - წერს "შტურმის" ოფიციალური ვებგვერდი.

დავით ცაბაძე



ალექსანდრე იაშვილი

ლეგიონერები

პრივილეგია არ სჭირდება

ალექსანდრე იაშვილის ახალი გუნდი, ბუნდესლიგაში ახლადაღზევებული "კარლსრუე" სეზონისწინა მზადებას ხვალ იწყებს, იაშვილს კი კარლსრუელებმა შეღავათი გაუწიეს და შეკრებაზე 2 ივლისს დაიბარეს. გერმანულმა წყაროებმა ეს ფაქტი იმად გამოქექეს, რომ იაშვილმა ასეთ პრივილეგიაზე უარი თქვა და "კარლსრუეს" შეუთვალა, თქვენთან 31 ივნისს მოვალო.

იაშვილს შეღავათი ალბათ იმიტომ შესთავაზეს, რომ რამდენიმე დღის წინათ ვაჟი შეეძინა.

დავით თავართქილაძე

მუჯირი სამ სიმბოლურშია

დავით მუჯირს მოსკოვის არმიელებთან ერთადერთი გოლის ავტორობა დაუფასდა. ამ გოლით სამარის "კრილია სოვეტოვმა" რუსეთის ბოლო პერიოდის საუკეთესო კლუბს მოუგო 1:0 და ლიდერთა ჯგუფში პოზიცია გაიმყარა.

სამარელთა ქართველი კაპიტანი ერთბაშად სამ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. "სპორტ-ექსპრესმა" მის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა, მაღალი შეფასება (6,5) დაუწერა, მე-14 ტურის საუკეთესო ფეხბურთელებში და სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. ამას გარდა მუჯირი სიმბოლურში სოკერ.რუ-მ და ჩემპიონატ.რუ-ს ტურის მიმომხილველმა, **ალექსანდრ ტარხანოვმა** დაასახელეს.

მუჯირი ინტერნეტ სააგენტო "როსბიზნესკოლსალტინგის" სპორტულ გვერდზეც დაფასდა და ტურის გმირთა ხუთეულში მიუჩინეს ადგილი: *"სამარელთა კაპიტანი არმიელებთან მოედანზე საუკეთესო გახლდათ. პრაქტიკულად, ის იწყებდა თავისიანთა ყველა შეტევას. გოლის მომენტშიც საჭირო დროს მოახერხა მეურვისგან გათავისუფლება და მანდრიკინის კარში გამარჯვების მომტანი ბურთის გაიტანა."*

მერაბ მამულაშვილი

ოცი საათი გზაში

რუსეთში მოთამაშე ქართველებს ერთხელ **შოთა არველაძე** მეგობრულად გაეხუმრა, ფრენას იმდენ ხანს ანდომებთ, მაღე ალბათ პილოტები გახდებითო. აბა, როგორი საქმეა, მოსკოვიდან ვლადივოსტოკში 8 საათიანი ფრენაა საჭირო.

თუმცა ის, რაც **გოგიტა გოგუას** გუნდს შეემთხვა, გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი. რამენსკოეს "სატურნს" გუშინ რუსეთში თასის 1/16-ფინალში ხაბაროვსკის "სკა-ენერგიასთან" უნდა ეთამაშა. თვითმფრინავს სანვავი გაუთავდა და იძულებული გახდა ირკუტსკში დამჯდარიყო, ეს გაჩერება კი შვიდი საათი გაგრძელდა. გუნდი კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდა, ცოტაც და მატჩზე დაიგვიანებდა. პრობლემა მხოლოდ მას შემდეგ მოგვარდა, რაც "სატურნის" გენერალური დირექტორი **ბორის ჟიგალოვი** ოლქის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა, თვითმფრინავი სანვავით შეავსესო და გუნდიც ხაბაროვსკში გაამგზავრა. თუმცა ფეხბურთელებს ძალიან გაუჭირდათ, რადგან მთელი ღამე დახუთულ სალონში გაატარეს. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში მგზავრობამ 20 საათი შეადგინა, "სატურნმა" მაინც შეძლო მეტოქის დამარცხება, ოღონდ ეს გოგუას გარეშე გააკეთა - გოგიტას არ უთამაშია.

მერაბ მამულაშვილი

ქართველები ოკეანის გაღმა

დელგადო და არგენტინელი ქართველები

ვასილ აფციაური და ხვიჩა მურღულია

არგენტინის პრიმერა B დივიზიონის "დეპორტივო მერლოში" ორი ქართველი, **ვასილ აფციაური** და **ხვიჩა მურღულია** რომ ირიცხებიან, "ლელო" ადრე წერდა. მათ **ედუარდო დელგადო** ავარჯიშებს, რომელიც შარშან რამდენიმე დღით სტუმრობდა საქართველოს. მისი მასპინძელი **ნიკო პატარქალიშვილი** იყო.

არგენტინაში მყოფი ქართველების ბედით დავინტერესდით და პატარქალიშვილის დახმარებით გუშინ ჯერ აფციაურსა და მურღულიას, მერე კი თავად დელგადოს გავესაუბრეთ.

ვასილ აფციაური 9 სექტემბერს 17 წლისა გახდება. მან რუსთავის "შევარდენში" დაიწყო თამაში, სადაც **მამუკა მურჯიკნელი** და **კახა ბექაური** წვრთნიდნენ. მისმა გუნდმა დანიაში ორი საერთაშორისო ჭაბუკთა ტურნი მოიგო, შვედეთში კი ოც გუნდში მე-5 ადგილი დაიკავა.

ვასილი 2004 წლიდან რუსთვის "მამულის" შემადგენლობაში გამოჩნდა. მიმდინარე წლის დასაწყისში კი პატარქალიშვილის დახმარებით არგენტინას გაეგზავრა.

"უკვე რამდენიმე თვეა, რაც არგენტინაში ვარ და აშკარად ვატყობ, რომ თამაშს მოვუმატე. განსაკუთრებით კი ფიზიკური კონდიციები ავიმაღლე. ეს კომპონენტი თანამედროვე ფეხბურთში უმნიშვნელოვანესია.

ამჟამად "დეპორტივო მერლოს" დუბლებში ვასპარეზობ. 18 წლის ჯერ არ ვარ და უფლებაც არ მაქვს ძირითად გუნდში ვითამაშო. მინდა, არგენტინაში კიდევ უფრო ავიმაღლო დონე, საქართველოს ჭაბუკთა ან ახალგაზრდულ ნაკრებს გამოვადგე და ევროპის კარგ გუნდში გავაგრძელო კარიერა", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში აფციაურმა.

რაც შეეხება ხვიჩა მურღულიას, ის 19 წლისაა და თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია. მისი პირველი მწვრთნელები **ნოდარ ჭელიძე** და **ავთანდილ ნებიერიძე** იყვნენ. 17 წლისა უკვე უმაღლეს ლიგაში, "ბორჯომში" თამაშობდა. მერე კი ნიკო პატარქალიშვილის დახმარებით არგენტინაში აღმოჩნდა. თავდაპირველად ის ტესტირებაზე იყო, მისიას კარგად გაართვა თავი, დელგადოს ნდობა დაიმსახურა და ისიც "დეპორტივო მერლოში" ჩაირიცხა.

"არგენტინაში აშკარად მოვუმატე თამაშს. სწრაფად ავითვისე აქაური ფეხბურთი, ტაქტიკა-სტრატეგიაშიც უფრო მეტად გავერკვიე, ფიზიკური კონდიციები ავიმაღლე. კვირაში 6 დღეს გვაქვს წვრთნები. დღეში ორჯერადი ვარჯიშებია. აქ იდეალური პირობებია კარგად მომზადებისათვის.

ყველაფერს გავაკეთებ, რომ არგენტინაში გატარებული პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენო ევროპის კარგ გუნდში მოსახვედრად ყველა ღონეს ვიხმარ, რომ და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს გამოვადგე.

აფციაურის მსგავსად მეც "დეპორტივო მერლოს" დუბლებში ვთამაშობ. ნოემბრიდან მთავარ გუნდში უნდათ ჩემი გადაყვანა, აქაური სხვა გუნდის ვარიანტებიც მაქვს და ვნახოთ"*, - აღნიშნა ხვიჩა მურღულიამ.

საინტერესოა, თუ რა აზრისაა ამ ორ ქართველზე "დეპორტივო მერლოს" კოორდინატორი ედუარდო ემილიო დელგადო:

"ორივე ქართველო მოთამაშე ძალიან ნიჭიერია და მათ საკუთარ თავზე მუშაობის შედეგად, შეუძლიათ დიდი ფეხბურთი ითამაშონ. მურღულია მარცხენა მცველია, თავით კარგად თამაშობს, ბურთს ჩინებულად ფლობს და ჩვენთან მომზადებისას საგრძნობლად გაუუმჯობესა დარტყმა. პირველ წრეში ორი გოლი გაიტანა.

აფციაური კი თავდასხმაში თამაშობს. აქ ის უფრო აგრესიულ ფორვარდად ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, ცოტა კი გაუჭირდა ჩვენს ფეხბურთთან შეგუება, მაგრამ ეს ბარიერიც გადალახა და ახლა უკეთეს დონეზე თამაშობს. ცაციათი ჩინებულად თამაშობს და აშკარად დიდი მომავალი აქვს", - რესპონდენტმა საუბრის ბოლოს საქართველო თბილად გაიხსენა: *"საქართველოში გატარებული პერიოდი ჩემთვის დაუვიწყარია. დღესაც თბილად ვიხსენებ ქართველ მეგობრებს, რომლებიც ბორჯომში გავიცანი. კლუბისა და რეგიონის ხელმძღვანელობას. განსაკუთრებით კი კლუბის პრეზიდენტ დავით გელაშვილს გამოვარჩევდი. ყოველთვის მზად ვარ "ბორჯომსა" და სხვა ქართულ გუნდს არგენტინელი ფეხბურთელებით დავეხმარო. ასევე, სიამოვნებით მოვამზადებ ქართველ ფეხბურთელებს."*

დავით ცაბაძე

დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს შიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.
ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.
იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

საქართველოს XVII უმაღლესი ლიგა. შეჯამება — ჩემპიონატი

ოლიმპი

ადგილი ჩემპიონატში: 1

ოლიმპი

	გაკრული	სულ	სულ	სულ	სულ
აფციაური	25	25	4	1	-
ქებაძე	25	24	5	5	-
მახვილაძე	24	24	2	3	1
სეთურიძე	24	23	1	-	-
კახელიშვილი	23	18	6	2	1
დვალიშვილი	22	19	8	3	-
გ. ონიანი	20	19	3	1	-
ხუბუა	19	13	2	3	-
გეწაძე	19	13	5	2	-
მ. ალავიძე (მეკ.)	16	16	-7	-	-
რ. ონიანი*	13	13	-	-	-
რ. გოცირიძე**	13	12	8	-	-
ძამსაშვილი**	13	11	1	2	-
ნავალოვსკი**	12	12	-	1	-
ჭიჭვეიშვილი**	12	11	-	-	-
სირბილაძე*	11	11	4	-	-
მერლანი (მეკ.)**	10	10	-2	-	-
ბერუაშვილი**	10	-	-	-	-
მიგინოშვილი	8	5	-	-	-
ხოხონიშვილი*	8	3	-	-	-
გ. თოდუა*	7	2	2	-	-
ხოჯავა*	7	2	1	1	-
მ. კვარაცხელია*	7	-	3	-	-
ჩხარტიშვილი**	4	-	-	-	-
მიქიაშვილი*	1	-	-	-	-
კაკაბაძე*	1	-	-	-	-
არზიანი**	1	-	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

"თამამად შეიძლება ითქვას, რომ განვლილი სეზონი დაძაბულობითა და ინტრიგით გამორჩეული გახლდათ. ამაში კი გარკვეული წვლილი ჩემ მიერ მომზადებულმა გუნდებმა, ჯერ "ტორპედომ" და მერე "ოლიმპმა" შეიტანეს, რაც ძალიან მახარებს. რუსთაველი გუნდის ჩაბარებისას ჩვენი მიზანი ჩემპიონობა იყო. ეს შევძელით კიდეც, თუმცა მერე რატომღაც კონტრაქტი აღარ გამიგრძელეს. ის კი ფაქტია, რომ "ოლიმპის" ქომაგები სტადიონზე მოვიზიდეთ და ოქროს მედლით ათასობით ადამიანი გავახარეთ. ყოველივე ამის შემდეგ განვლილ სეზონს დადებითად შევაფასებდი".

საუკეთესო მატჩი

"ზესტაფონთან" საშინაო მატჩიდან მოყოლებული ყველა მატჩი ჩინებულად ვითამაშეთ. მაშინ გამოჩნდა, რომ ყოველ ტურში, ჩვენ მხოლოდ ერთ კონკრეტულ გუნდს კი არა, ყველა იმ გუნდს ვეთამაშებოდით, რომლებიც ჩვენი მდევრები იყვნენ... ხშირად გამიგია რეზო ძოძუაშვილის "ოლიმპი" დაცვით ფეხბურთს თამაშობსო, მაგრამ ფეხბურთი ვისაც ესმის, ნათლად ხედავს რომ ეს ასე არაა. "ზესტაფონთან" მატჩიდან მოყოლებული, ჩვენს გუნდს აღმავლობა ჰქონდა, შეტევასა და დაცვაში თანაბრად დაბალანსებული გუნდი გვყავდა. "ოლიპის" ქომაგებს კარგად ახსოვთ, მატჩების მსვლელობისას ხშირად ვცვლიდით ტაქტიკას... ბოლო-ბოლო 5 მაისს თბილისის "დინამოსთან" პრინციპული მატჩი არ დავთმეთ".

> რევაზ ძოძუაშვილმა "ოლიმპი" მეორე წრის წინ ჩაიბარა და პირველ ადგილზე მყოფ გუნდს ეს ადგილი ჩემპიონატის ბოლომდე შეუნარჩუნა. მანამდე ის საკმაო წარმატებით ქუთაისის "ტორპედოს" წვრთნიდა.
> სწორედ ქუთაისში მუშაობისას წაართვა ის ოქროს 3 ქულა თბილისის "დინამოს", საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს კიდევ ერთხელ გაჩემპიონებისთვის დააკლდა. თუმცა არც მის "ოლიმპს" წაუგია "დინამოსთან". ფაქტობრივად, რუსთავში ნათამაშებმა ფრემ გახადა "ოლიმპი" ჩემპიონი.

რევაზ ძოძუაშვილი
მთავარი მწვრთნელი

ყველაზე ცუდი მატჩი

"მართალი გითხრათ, ცუდი მატჩის ჩვენების უფლება არ გვქონდა. ცუდად რომ გვეთამაშა, ჩემპიონობას დავკარგავდით და ეს ყველას გათავისებული გვქონდა".

პლუსი

"უპირველესად ტაქტიკა-სტრატეგიის დიდი მარაგი. ეს ჩვენი დიდი სიმდიდრე იყო. ყველა მატჩს იმ ტაქტიკით ვთამაშობდით, რასაც კონკრეტული თამაში ითხოვდა. ბუნებრივია, სხვა პლუსებიც არაერთი გვქონდა – შემართება, მობილიზება, ქომაგების მხარდაჭერა"...

მინუსი

"ყველა ერთ აზრზე ვერ ...ქნება, მაგრამ როცა გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, საერთო ინტერესი გარკვეულწილად მაინც უნდა განაპირობებდეს ერთი აზრისა და მიმართულების გატარებას. სამწუხაროდ, ამას მეტ-ნაკლებად მოკლებული ვიყავით".



ჩემპიონატის რჩეულები

"ის 13-14 ფეხბურთელი, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში უნევდა თამაში. მათ ყველას ერთად დავასახელებდი. ისინი გმირები არიან და ცალ-ცალკე არ გამოვყოფდი. სხვა გუნდებიდან და საერთოდ განვლილ სეზონში აშკარად გამოკვეთილი ფიგურა სანდრო იაშვილი გახლდათ".

ოლიმპი და ქომაგები

"გულშემატკივრების მადლიერი ვართ. მათს მხარდაჭერას ყველა თამაშში ვგრძნობდით. ამასთან, ქომაგების წინაშე თავს არ ვზოგავდით. ჩვენი წარმატებული თამაშით, "ოლიმპის" ქომაგების რიცხვი ათასიდან, 12 ათასამდე გავზარდეთ. ბედნიერი ვიყავი, როცა ქომაგები გახარებული, თავანეული და ამაყი ტოვებდნენ სტადიონს".

ჩემპიონატის ფორმატი

"ვფიქრობ, იდეალური იქნებოდა 10 გუნდიანი უმაღლესი ლიგა ოთხ წრედ. ჩემი აზრით, ეს აუცილებელია, თუ გვინდა, რომ ევროპის საფეხბურთო მატარებლის ბოლო ვაგონში არ ვიყოთ".

გამორჩეული კოლეგები

"უპირველესად ისინი, ვისი გაწვრთნილი გუნდებიც ჩვენი მდევრები იყვნენ. ამ როლის თამაში იოლი ნამდვილად არაა. ასე რომ გამოვყოფდი, დუშან უჭრინს, გიორგი ჩიხრაძეს, თემურ მახარაძეს. თუმცა სხვა გუნდებშიც კარგი მწვრთნლები მუშაობენ და მეტი დაფინანსება რომ ჰქონოდათ, ბევრად უკეთაც წარმოჩნდებოდნენ".

მსაჯობა

"ჩვენ, მწვრთნელები, ყველა წაგებული თამაშის შემდეგ, წარუმატებლობის მიზეზად, შესაძლოა, მსაჯებსაც მივიჩნევდით. თუმცა ანალიზის შემდეგ სხვა დასკვნამდე მივდიოდით. შეუცდომელი არავინაა და მსაჯებიც ცდებოდნენ. მთავარია, რომ ეს შეცდომები მიზანმიმართული და წინასწარგაზრახული არ ყოფილა.

განვლილ სეზონში დავინახეთ, რომ საქართველოშიც გვყავს მაღალკვალიფიციური მსაჯები. კაცს ვერ ნახავთ, ვინც იტყვის, რომ "ოლიმპმა" არბიტრების დახმარებით თუნდაც ქულა აიღო. მსაჯობა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი არტერიაა. ეს არტერია განვლილ სეზონში ჩინებულად ფუნქციონირებდა".

გარიგებული მატჩები

"სამწუხაროდ, გარიგებული მატჩები ჩვენი კი არა მთელი მსოფლიო ფეხბურთის სენია. მთავარია, ამ სენით ნაკლებად იყოს დაბინძურებული ქართული ფეხბურთი. ჩვენ, ყველანი ერთად, გაათმაგებულად უნდა ვებრძოლოთ გარიგებულ მატჩებს".

დავით ცაბაძე

I ტური			
24.08.06	ს	სიონი	1:0
გოლი: კახელიშვილი			
II ტური			
06.08.06	შ	კახეთი	7:0
გოლები: დვალიშვილი (2), სირბილაძე (2), მახვილაძე, გ. თოდუა, კვარაცხელია.			
III ტური			
20.08.06	ს	ზესტაფონი	0:0
IV ტური			
27.08.06	შ	ლოკომოტივი	1:0
გოლი: აფციაური			
V ტური			
09.09.06	ს	მერანი	1:0
გოლი: დვალიშვილი			
VI ტური			
17.09.06	ს	ბორჯომი	4:0
გოლები: აფციაური, დვალიშვილი, ქებაძე, ხუბუა			
VII ტური			
23.09.06	შ	ვიტ ჯორჯია	4:0
გოლები: ქებაძე (2), კახელიშვილი, სირბილაძე.			
VIII ტური			
14.10.06	ს	ჩიხურა	4:0
გოლები: კვარაცხელია (2), სირბილაძე, მახვილაძე			
IX ტური			
21.10.06	შ	ბათუმი	2:1
გოლები: ქებაძე, ხოჯავა			
X ტური			
29.10.06	ს	დინამო	0:1
XI ტური			
05.11.06	შ	დილა	5:1
გოლები: გეწაძე (3), გ. ონიანი, გ. თოდუა			
XII ტური			
18.11.06	ს	ამერი	2:2
გოლები: კახელიშვილი, გ. ონიანი			
XIII ტური			
26.11.06	შ	ბორჯომი	1:0
გოლი: კახელიშვილი			
XIV ტური			
23. 02. 07	შ	სიონი	3:0
გოლები: დვალიშვილი (2), სეთურიძე			
XV ტური			
02.03.07	ს	კახეთი	5:0
გოლები: დვალიშვილი (2), აფციაური, რ. გოცირიძე, ძამსაშვილი			
XVI ტური			
10.03.07	შ	ზესტაფონი	1:1
გოლი: რ. გოცირიძე			
XVII ტური			
17.03.07	ს	ლოკომოტივი	1:0
გოლი: გ. ონიანი			
XVIII ტური			
31.03.07	შ	მერანი	1:0
ავტოგოლი: ლ. გრიგალაშვილი			
XIX ტური			
7.04.07	შ	ბორჯომი	2:0
გოლები: აფციაური, ხუბუა			
XX ტური			
13.04.07	ს	ვიტ ჯორჯია	0:0
XXI ტური			
21.04.07	შ	ჩიხურა	5:0
გოლები: გეწაძე (2), კახელიშილი (2), რ. გოცირიძე			
XXII ტური			
27.04.07	ს	ბათუმი	2:1
გოლები: რ. გოცირიძე, ქებაძე			
XXIII ტური			
5.05.07	შ	დინამო	0:0
XXIV ტური			
12.05.07	ს	დილა	1:0
გოლი: რ. გოცირიძე			
XXV ტური			
16.05.07	შ	ამერი	0:0
XXVI ტური			
20.05.07	ს	ბორჯომი	4:2
გოლები: რ. გოცირიძე (3), კახელიშვილი			

26 მატჩი, 19 მოგება, 6 ფრე, 1 წაგება, ბურთები 57-9, 63 ქულა

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 — ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე ძეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუქცელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge. www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი მწვრთნელისა

კაპელო დღეს, შუსტერი მალე...

MARCA: გერმანელი ერთადერთი კანდიდატია

ესპანური პრესის მიერ გუშინ დილით გავრცელებული ინფორმაციით, **ფაბიო კაპელოს** "რეალის" მწვრთნელად ყოფნის დრო სულ რაღაც 24 საათში ამოიწერა. ესე იგი, იტალიელი ტაქტიკოსი დღეს უნდა დაითხოვონ, რამდენიმე დღეში კი **რამონ კალდერონმა** ოფიციალურად უნდა დაადასტუროს, რომ სამეფო კლუბის ახალი დამრიგებელი **ბერნდ შუსტერაა**. ამას გვეუბნება "მარკა", რომელიც ამტკიცებს, რომ "ხეტაფეს" დღევანდელი მწვრთნელი ერთადერთი კანდიდატურაა და არანაირი **არსენ ვენგერი, მიკაელ ლაუდრუპი** თუ **რონალდ კუმანი**. ისე, რა იცი, რას გაუგებ კალდერონს...

პრინციპში, კაპელოს გაშვება ადრე-ვე იყო გადაწყვეტილი, აქ საქმე მხოლოდ დროშია. კალდერონმა სწორედ დრო უნდა შეარჩიოს... და ალბათ, უკვე შეარჩია. საჩემპიონო ეიფორიის ფონზე მან ფაბიოს ეგრევე გაშვება ვერ გაბედა. ახლა კი, როცა ეს ეიფორია უკვე განელდა, გადაწყვეტილების მიღების დროც დადგა.

კაცმა რომ თქვას, სადღაც კალდერონსაც შეიძლება გაუგო. იანვარ-თებერვალში "რეალი" საშინლად თამაშობდა. ეს ის პერიოდია, როცა მადრიდული გრანდი თამაშს თამაშზე აგებდა, ინჩადაც აღშფოთებული იყო და პრესაც ლანძღვა-გინებით იკლებდა გუნდსა თუ მწვრთნელს. ეტყობა, იმ მომენტში პრეზიდენტმა დაკარგა რწმენა, რომ სიტუაცია გამოსწორდებოდა და შუსტერთანაც ამიტომ დაიჭირა საქმე. მაგრამ კაპელომ და "რეალმა" თითქმის სასწაული მოახდინეს, გუნდი მკვდრეთით აღდგა და პრიმერა დივიზიონის ფინიშზე ტრიუმფით მივიდა. სხვათა შორის, "დონ ფაბიოსთვის" ეს ზედიზედ მესამე საჩემპიონო სეზონი იყო, თუ "იუვენტუსთან" ერთად მოგებულ ორ სკუდეტოსაც მივათვლით. კაპელოს მიმართ დამოკიდებულება უმალ შეიცვალა. ახლა მედიაც და ინჩადაც მის ქებადიდებაში იღლიან ენას...

...და უნდა ქნას კალდერონმა ასეთ სიტუაციაში? შუსტერს პირი უტეხოს და წინასწარი კონტრაქტის გაუქმებისთვის მილიონი ევრო გადაუხადოს, თუ კაპელო გაუშვას და ხელშეკრულებით დარჩენილი ორი წლის ანაზღაურება, მთელი 5 მილიონი ევრო მიუთვალოს? ფინანსური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, პირველი ვარიანტი სჯობს, მაგრამ მარტო ფინანსებშიც არ არის საქმე. პრეზიდენტის წინდაუხედაობის გამო, ერთი მხრივ, შუსტერსა და "ხეტაფეს" შორის ურთიერთობა უკვე ისეა გაფუჭებული, რომ გერმანელს ამ გუნდში აღარ დაედგომება. მეორე მხრივ კი, როგორ გინდა კაპელოსთან კიდევ ორი წელი ითანამშრომლო იმ ამბების შემდეგ, რაც ახლა ხდება. ბოლო ინტერვიუში იტალიელმა მაესტრომ პირადად "რეალის" ბოსი და მთელი ხელისუფლება მიწასთან გაასწორა.

როგორც არ უნდა იყოს, კაპელო უკვე შევიდა ამ გუნდის ისტორიაში. მან ორი სეზონი იმუშავა მადრიდში და ორივეჯერ ჩემპიონი გახდა. პირველად, ეს იყო 1996/97 წლებში, მეორედ კი ახლა, სულ რაღაც ათიოდ დღის უკან. წარმატებული მწვრთნელის გაშვება ცუდი პრეცედენტია თავად კალდერონისთვისაც. მაშინ, როცა სახელოვან და გაჩემპიონებულ კაპელოს ძაღლივით აგდებენ, როგორ უნდა იმუშაოს შუსტერმა იმის შიშით, რომ ერთი წაბორძიკებაც კი შეიძლება სამსახურის დაკარგვად დაუჯდეს?

ფაბიო კაპელო

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ კაპელო უკვე "რეალის" წარსულია. ბუნებრივად ისმის კითხვა - სად შეიძლება ეძებოს დიდმა მწვრთნელმა ახალი თავშესაფარი? ახლა ის შვებულებაშია და მოსაფიქრებლად დრო თავზე საყრელად აქვს. *"იტალიაში ყველა ტოპკლუბს მწვრთნელი ჰყავს, ამიტომ, იქ მუშაობაზე არ ვფიქრობ. შესაძლოა, გაჩნდეს ვარიანტი სადმე უცხოეთში, რომელიმე ქვეყნის ამბიციურ ეროვნულ ნაკრებში"* - ამბობს 61 წლის კაპელო, რომელსაც, შესაძლოა, უჯობდეს კიდეც ინტენსიური საკლუბო სამუშაოდან, ნაკლებად დატვირთულ სანაკრებო ასპარეზზე გადართვა...

ანტონიო კასანო

მოსალოდნელი ტრანსფერი

ჭირვეულ კასანოს ნაპოლი მოარჯულებს?

ანტონიო კასანოს ახალი გუნდი, შეიძლება, "ნაპოლი" გახდეს. "რეალიდან" **ფაბიო კაპელოს** წასვლა, ფაქტობრივად, კასანოს აბარგებასაც მოასწავებს. სამეფო კლუბში ის არავის სჭირდება. სხვათა შორის, კაპელოსაც გაუცივდა მასთან ურთიერთობა და დიდად არც იტალიური კლუბები იკლავენ თავს იმაზე, რომ ეს ჭირვეული ბიჭი როგორმე მოარჯულონ. თავის დროზე, მას "ფიორენტინის" მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** გაუწოდა დახმარების ხელი, მაგრამ ანტონიოს ფლორენციული ტრანსფერი ვერ შედგა. მერე გაჩნდა "პალერმოს" ვარიანტიც, თუმცა სიცილიელთა პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** შორს დაიჭირა. ბოლო პერიოდში კი ინტენსიურად მუსირებდა ხმები კასანოს "ინტერში" გადასვლის თაობაზე. ამ გარიგებას ზამთარშიც ელოდნენ, მაგრამ ამაოდ...

იმავე ზამთარს "რეალის" ფორვარდის ყიდვა "ნაპოლისაც" უნდოდა. მაშინ, კამპანიელები სერია A-ში გადასვლისთვის იბრძოდნენ და კასანო თავდასხმის გაძლიერებისთვის სჭირდებოდათ. იგივე მისია უნდა დაეკისროს ფეხბურთელს ახლაც, როცა ნეაპოლიტანელებმა ელიტაში შეაბიჯეს.

"კორიერე დელო სპორტისგან" ვიგებთ, რომ "ნაპოლის" მცველი **პაოლო კანავარო** (ფაბიოს უმცროსი ძმა) და ნახევარმცველი **ფრანჩესკო მონტერვინო** მადრიდში ჩავიდნენ და კასანოს შეხვდნენ. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით კი, გაიმართა შეხვედრა უფრო მაღალ დონეზეც: ერთმანეთში ფეხბურთელის აგენტ **ჯუზეპე ბოცოსა** და "ნაპოლის" დირექტორ **პიერპაოლო მარინოსაც** უსაუბრიათ. ანგარიშგასაწევია სატრანსფერო ბაზრის სპეციალისტის **ერნესტო ბრონცეტის** ეს სიტყვებიც: *"ვფიქრობ, ეს ბრწყინვალე გარიგება იქნება. სიმართლე გითხრათ, კასანოს მადრიდში დარჩენა ვურჩიე, მაგრამ როგორც კი "ნაპოლის" ვარიანტი გამოჩნდა, შემიძლია ვთქვა, რომ ეს უკვე გამოსავალია. ანტონიომ უნდა იგრძნოს, რომ ხალხი მას ჯერ კიდევ აფასებს. "ნაპოლის" ფანებზე უკეთ ამას ვერავინ შეძლებს"*.

პრესას საყურადღებო ინფორმაცია მიაწოდა "შტუტგარტის" ფორვარდმა **დანიელ ლუბოჟამაც**. სერბს უთქვამს, "ნაპოლის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, თავდასხმაში მე და კასანო შეგვაწყვილოსო. ლუბოჟა ბოლოს "ჰამბურგში" იყო განათხოვრებული, მაგრამ "აოლ- არენაზე" დარჩენა აღარ შესთავაზეს. ბალკანელ თავდამსხმელს ახლა "შტუტგარტიდანაც" სურს თავის დაღწევა. კასანო-ლუბოჟა-ნეაპოლი... საინტერესო სამკუთხედი იკვრება...

ლაციო

ნუნუ გომეშისა და ჩევანტონის მოლოდინში

სატრანსფერო ბაზარზე "ლაციო" მეტისმეტად პასიურია. არადა, შემოდგომაზე "ბიანკოჩელესტეს" ჩემპიონთა ლიგაში მოუწევს თამაში. დღევანდელი შემადგენლობით, **დელიო როსის** გუნდი ბევრს ვერაფერს მიაღწევს. არ ვამბობთ, რომ "ლაციალეს" მიზანი ლიგის მოგებაა, მაგრამ ფლეი ოფში გასვლა კი უნდა ეწადოს. გაძლიერებაზე მწვრთნელიცა და კლუბის პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტოც** დაფიქრდნენ. ჰოდა, მკლავებიც დაიკაპიწეს...

გუშინდელი ინფორმაციით, "ლაციომ" "ბენფიკას" **ნუნუ გომეშის** გაყიდვის წინადადებით მიმართა. პორტუგალიური პრესა 30 წლის ფორვარდის შესაძლო აბარგებაზე ჯერ კიდევ იანვარში წერდა. შეიძლება, გახსოვთ კიდეც, ინგლისურმა საagენტოებმა ის უმალ "ვესტ ჰემში" "მოაწყვეს", მაგრამ ახლა საქმე იქითკენ მიდის, რომ გომეში, ალბათ, იტალიაში წავა.

იტალია კი მისთვის უცხო სულაც არ არის. 2000-02 წლებში ის "ფიორენტინის" ღირსებას იცავდა. ორი სეზონის განმავლობაში ნუნუმ 53 მატჩი ჩაატარა, მაგრამ ოდენ 14 გოლს მოუყარა თავი. "ლაციო" ლისაბონიდან პასუხს უახლოეს დღეებში ელის. "ბენფიკას" გამოცდილი ფორვარდი არ ეთმობა, თუმცა ყველაფერს ფული გადაწყვეტს.

...და ვიდრე "ბენფიკა" მოიფიქრებს, ამასობაში "ლაციო" თადარიგს იჭერს **ხავიერ ერნესტო ჩევანტონის** ფრონტზეც აქტიურდება. 26 წლის ურუგვაელი ადრე "ლეჩეში" თამაშობდა და შესაბამისად, კარგად იცნობს დელიო როსისაც, რომელიც იმხანად სწორედ პულიურ კლუბში მუშაობდა. ჩევანტონმა "ვია დელ მარზე" სამი წელი დაყო, 88 მატჩში 47 გოლიც გაიტანა და გრანდების ყურადღებაც მიიპყრო, მაგრამ ბოლოს მაინც "მონაკოში" წასვლა არჩია. ამჟამად, ის "სევილიაში" თამაშობს, ოღონდ ეგ არის, რომ **ფრედერიკ კანუტეს** ჩრდილს თავი ვერა და ვერ დააღწია. მომავალ კვირას "ლაციოს" ოფიციოზი ჩევანტონის აგენტს შეხვდება და შესაძლო ტრანსფერის პირობებზე დაელაპარაკება.

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი

URUGVAI განადგურდა

ვენესუელა მოგებას ისევ უშედეგოდ ცდილობს...

A ჯგუფი

URUGVAI-პერუ 0:3

URUGVAI: კარინი, კარლოს დიოგო, გოდინი, ლუგანო, დარიო როდრიგესი, კანობიო (46. კ.როდრიგესი), პაბლო გარსია, დიეგო პერესი, ესტოიანოვი (80. ვარგასი), ფორლანი, ვისენტე სანჩესი (66. აბრეუ).

პერუ: ბუტრონი, აკასიეტე, გალიკიო, ალბერტო როდრიგესი, ვილჩესი, ვილიალტა, ბასალარი, პედრო გარსია (57. მარინიო), ჯეფერსონ ფარფანი (81. დე ლა ასა), პაულო გერერო, პისარო (78. მენდოსა).

გოლები: 0:1 ვილიალტა (27), 0:2 მარინიო (70), პაულო გერერო (89).

გაფრთხილება: 2-4; **დარტყმა**: 7(4)-4(2); **ჯარიმა**: 19-19; **კუთხური**: 7-4; **თამაშგარე**: 7-4.

ვენესუელა-ბოლივია 2:2

ვენესუელა: ვისენტე ვეგა, სიჩერო, ექტორ გონსალესი, რეი, როხასი, არანგო, მეა ვიტალი, დავიდ პაესი (73. ვიელმა), ლუის ვერა, დე ორნელასი (60. გუერა), მალდონადო (78. ტორეალბა).

ბოლივია: გალარსა, ალვარესი, ანხელ ოიოსი, ხუან მანუელ პენია, რალდესი, რონალდ გარსია, მოხიკა, რეიესი (60. პენია), ხოსელიტო (71. გალინდო), არსე, მორენო (75. კაბრერა).

გოლები: 1:0 მალდონადო (21), 1:1 სიჩერო (39. საკ. კარში), 2:1 დავიდ პაესი (56), 2:2 არსე (84).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 4(1)-16(2); **ჯარიმა**: 7-12; **კუთხური**: 4-6; **თამაშგარე**: 4-6.

პერუმ კოპა ამერიკა შთამბეჭდავი გამარჯვებით გახსნა. მან URUGVAI გააცამტვერა. დიდი ანგარიში ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. გოლები **მიგელ ვილიალტამ**, **ხუან კარლოს მარინიომ** და **პაულო გერერომ** გაიტანეს. URUGVAI, რომელსაც კოპა 14-ჯერ აქვს მოპოვებული, უძლური იყო და თუ თამაში მკვეთრად არ გამოასწორა, ჯგუფში ბოლო ადგილის დაკავება არ ასცდება.

პერუელები 27-ე წუთზე დაწინაურდნენ. გოლი კუთხურის გათამაშებას მოჰყვა. **ჯეფერსონ ფარფანმა** მარცხენა ფრთიდან მოაწოდა. ტანმაღალი მცველი ვილიალტა მეურვეებს იოლად დაუსხლტა და ბურთს შორ ძელთან ჩაუსაფრდა. მან ახლო მანძილიდან თავით აუღელვებლად შეაგდო. ხუთ წუთში პაულო გერერომ მეორედ აიღო **ფაბიან კარინის** კარი, მაგრამ პარაგვაელმა არბიტრმა **კარლოს ამარილიამ** თამაშგარე დააფიქსირა.

ტაიმის მიწურულს URUGVAIმ პირველად დასცხო მეტოქის კარისაკენ. დაშავებული ალვარო რეკობას ნაცვლად ძირითადში მოთამაშე **ფაბიან ესტოიანოვმა** შორი მანძილიდან გაისროლა. პერუელთა მეკარე **ლეაო ბუტრონმა** ბურთი კუთხურზე გადააგდო.

შესვენებისას URUGVAIელთა თავკაცმა **ოსკარ ტაბარესმა ფაბიან კანობიო კრისტიან როდრიგესით** შეცვალა. ეს უკანასკნელი შემტევი ნახევარმცველია. მწვრთნელის გადაწყვეტილება თავდასხმის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. როდრიგესმა თამაშის განახლებისთანავე მიიტანა იერიში. ბუტრონმა მისი დარტყმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია.

პერუელებმა ინიციატივა მალე იგდეს ხელთ. გერერომ მარჯვენა ფლანგზე გაიბრწყინა და საჯარიმოში **პისაროს** გაუკეთა პასი, მაგრამ მან ბურთს ფეხი აიცილა. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და ხუან კარლოს მარინიომ ანგარიში ორამდე გაზარდა. მისგან ყველა პასს ელოდა. მარინიომ კი ახლო მაღალ კუთხეში დასცხო და გაიტანა. თამაშს გერერომ დაუსვა წერტილი. მან **ანდრეს მენდოსას** შედეგიანი გადაცემით ისარგებლა...

ჩემპიონატის ოფიციალური გახსნა ამ თამაშის შემდეგ გაიმართა. სან კრისტობალში ერთმანეთის წინაშე ვენესუელისა და ბოლივიის ნაკრებები წარდგნენ. მასპინძლებს პრეზიდენტი **უგო ჩავესი** და **დიეგო მარადონა** ქომაგობდნენ. სტუმართა გასამხნევებლად ბოლივიის პრეზიდენტო **ევო მორალესი** იყო ჩასული. ვენესუელელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგემ ორჯერვე გაათანაბრა. **რიკარდო პაესმა** ერთი გოლი და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა (**ჯანკარლო მალდონადომ** გაიტანა). ტაიმს მიწურულს **ალეხანდრო სიჩერომ** ავტოგოლი გაიტანა (თუმცა ზოგიერთი სააგენტო ამ გოლს ბოლივიელთა ფორვარდ **ხაიმე მორენოს** უთვლის), შემდეგ კი **ხუან კარლოს არსემ** ვენესუელას ზეიმი ჩაუმწარა. ცნობისთვის, მასპინძლებს კოპა ამერიკაზე ერთადერთი მატჩი აქვთ მოგებული - შორეულ 1967 წელს და ისიც ბოლივიასთან.

ბოლივიამ მატჩი აქტიურად დაიწყო. არსემ მორენო ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ ივარგა. უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო, გოლი კი მოწინააღმდეგე გუნდმა შეაგდო. პაესმა (ის ვენესუელელთა თავკაცის, **რიჩარდ პაესის** შვილია) მალდონადოს საიუველირო პასი მიართვა. ეს უკანასკნელი მეკარე **სერხიო გალარსას** გასცდა და მახვილი კუთხიდან გაიტანა. ანგარიში ექვს წუთში გათანაბრდა. მორენოს დარტყმული ბურთი სიჩეროს შეეხო და რიკოშეტით ვენესუელის კარში მოკალათდა..

მასპინძლებმა მეორე გოლი 56-ე წუთზე გაიტანეს. პაესი საჯარიმოს კიდეზე უმეთვალყურეოდ დატოვეს. მან ცენტრიდან გაკეთებული პასი მიიღო და გაიტანა. თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე არსემ **დიეგო კაბრერამ** გადაცემით ისარგებლა და ახლო კუთხეში შეაგდო. დამატებულ დროში ვენესუელელები პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ. ვიდეოჩანაწერშიც თითქოს ისე ჩანდა, რომ **ხორხე ვარგასმა გუალბერტო მოხიკა** წესების დარღვევით შეაჩერა, მაგრამ მსაჯმა მათი პროტესტი უყურადღებოდ დატოვა.

ფიფამ სამხრეთაფრიკული მუნდიალისთვის თარიღები მოხაზა. გადაწყდა, რომ შესარჩევი ციკლის წილისყრა ამ შემოდგომაზე, 25 ნოემბერს, დურბანში შედგება. ფინალური ეტაპი 2010 წლის 11 ივნისს დაიწყება. გახსნით მატჩსა და ფინალს, რომელიც 11 ივლისს გაიმართება, დედაქალაქი იოჰანესბურგი უმასპინძლებს.

მუნდიალი 2010

მნიშვნელოვანი თარიღები და სიმაღლეები

ამას გარდა, ფიფა გარკვეულ კომპრომისზეც წავიდა მაღალმთიან ადგილებში მატჩების ჩატარების თაობაზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით - გახსოვთ, ალბათ, ზღვის დონიდან მაქსიმალურ დასაშვებ სიმაღლედ, სადაც ფეხბურთის თამაში რეკომენდებულია, 2 500 მეტრი დაიკანონა, რასაც სამხრეთამერიკული ქვეყნების მხრიდან მკაცრი პროტესტი მოჰყვა. კომპრომისი კი ის გახლავთ, რომ ფიფამ ამ დაკანონებულს 500 მეტრიც დაამატა. მაგრამ ბოლივიის დედაქალაქი ლა პასი, რომელიც ზღვის დონიდან 3 650 მეტრზეა გაშენებული, მაინც თამაშგარეში რჩება, ისევე, როგორც პერუს ქალაქი კუსკო (3 400 მ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურიანი ტრანსფერის გარშემო

კლოზე იხვეწებოდა, გამიშვით ბაიერნშიო...

რეკორდმაისტერმა ტრანსფერები დაასრულა. ჰიტცფელდი: თავიდანვე სუპერფეხბურთს ნუ მოგვთხოვთ!

მას ბრემენიდან წასვლა უნდოდა. ვერ ვიტყვით, რომ მაინცა და მაინც, "ბაიერნში" გადასვლა სურდა, რადგან სანამ "ბარსელონა" და "იუვენტუსი" ეპატიჟებოდნენ, რეკორდმაისტერზე სიტყვაც არ დასცდენია, პირიქით, სულ ამბობდა, თუ ბრემენს დავტოვებ, გერმანიიდანაც ავიბარგები, "ვერდერის" კონკურენტ გუნდში არ გადავალო. მაგრამ, როცა ტურინულმა და კატალონიურმა გრანდებმა მასზე უარი თქვეს, დიდი არჩევანი აღარ ჰქონდა და მიუნხენში წასვლა მოითხოვა. ამიტომაცაა, რომ "ბაიერნის" ქომაგების გარკვეული ნაწილი **მიროსლავ კლოზეს** ტრანსფერს აღფრთოვანებით არ შეხვდა. თანაც, მათი აზრით, მირო **როი მაკაიზე** უკეთესი არ არის - როგორც იცით, კლოზეს FCB-ში მისვლა იმას ნიშნავს, რომ ჰოლანდიელი ბავარიიდან წავა.

"ბილდის" ინფორმაციით, "ვერდერი" ბუნდესგოლეადორის დათმობას ბოლო წუთამდე არ აპირებდა, მაგრამ გადამწყვეტი როლი თვითონ ფეხბურთელის სურვილმა ითამაშა. თუმცა ამას სურვილიც აღარ ეთქმის - ჩვენი ბილდელი კოლეგები ხვეწნა-მუდარაზე წერენ. სანამ ბრემენული კლუბის გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგესთან** და მენეჯერ **ული ჰონესთან** ერთად მაგიდას მიუჯდებოდა, მიროს კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის მერამდენედ, დაურეკა და ჰკითხა: *"დარწმუნებული ხარ, რომ "ბაიერნში" გადასვლა გინდა?"* ფეხბურთელის პასუხი ასეთი იყო: *"დიახ, ძალიან გთხოვთ, გამიშვით მიუნხენში!"* მანამდე კლოზე რუმენიგესა და ჰაინესს თურმე რეგულარულად ესაუბრებოდა და სთხოვდა, ყველაფერი იღონეთ, რომ მიუნხენში გადმოვიდეო. კალემ და ულიმ მიროს თხოვნა შეუსრულეს და დათმობაზე წავიდნენ: რეკორდმაისტერს ეს ტრანსფერი ჯამში სწორედ 15 მილიონი ევრო დაუჯდება, ზუსტად იმდენი, რამდენსაც "ვერდერი" ითხოვდა. პირველ ეტაპზე ბავარიელები "მუსიკოსებს" 12 მილიონს გადაურიცხავენ, ერთი წლის შემდეგ კი, 3 მილიონსაც ჩაუთვლიან.

ცნობილია, რომ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ალოფსმა რუმენიგესა და ჰაინესს მაკაიზე ჩამოუგდო სიტყვა. "ბაიერნის" ბოსები მოლაპარაკების წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ ჰოლანდიელ თავდამსხმელს უთქვამს, "ვერდერი" არ მაინტერესებსო. როის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ გერმანია დატოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს. თუმცა მისი გადაბირება "ვოლფსბურგმაც" მოისურვა - გუნდმა, რომელსაც "ბაიერნის" ექს-თავკაცი **ფელიქს მაგათი** წვრთნის.

მაშ ასე: **ლუკა ტონისა** (11 მილიონი) და **ფრანკ რიბერის** (25) შემდეგ, კლოზე მიუნხენელთა რიგით მესამე ხმაურიანი შენაძენია. საერთო ჯამში კი, "ბაიერნის" მერვე ახალწვეული გახლავთ. მანამდე ბავარიელებმა ტონისა და რიბერის გარდა, **ჰამით ალთინთოფი** (უფასოდ), **იან შლაუდრაფი** (1 მილიონი), **ხოსე ერნესტო სოსა** (10 მილიონი), **მარსელ იანსენი** (10 მილიონი) და **ზე რობერტო** (უფასოდ) გადაიბირეს. როგორც ხედავთ, ბავარიული გიგანტის ბოსებმა დანაპირები შეასრულეს და მომავალი სეზონისთვის თითქმის სრულიად ახალი გუნდით ემზადებიან. საერთო ჯამში, რეკორდმაისტერმა 69 მილიონი ევრო დახარჯა და რუმენიგეს თქმით, "ბაიერნის" შოპინგი დასრულებულია. მომავალი სეზონისთვის მიუნხენელები აღარავის იყიდიან.

"ჩვენს გულშემატკივრებს მოთმინებისკენ მოვუწოდებ," - აცხადებს ბავარიელთა თავკაცი **ოტმარ ჰიტცფელდი**, - *"შესანიშნავი ფეხბურთელები გადავიბირეთ და გერმანიაში ნამდვილად უძლიერესი გუნდი გვყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველი თამაშებიდანვე შესანიშნავად ვიასპარეზებთ. ამდენ ახალწვეულს შეთამაშება და ადაპტაციის პერიოდი სჭირდება."* აქვე გეტყვით, რომ 1 ივლისს "ბაიერნი" ჰონგ კონგურ შეკრებაზე "სან პაულოს" შეხვდება.

მიროსლავ კლოზე ბაიერნის ახალი იმედია

ვერდერიდან ბაიერნში წასულები...

კლაუდიო პისარო - პერუელი ბრემენიდან მიუნხენში 2001 წელს გადავიდა და მაშინ "ბაიერნმა" "ვერდერს" 8 მილიონი ევრო გადაუხადა. "ვერდერში" კი, პისარო 1999 წელს გამოჩნდა - ბრემენელებმა "ლიმას" 1.5 მილიონი ევრო ჩაუთვალეს. 1 ივნისიდან პისარო, როგორც იცით, "ჩელსიშია". ამ უკანასკნელმა "ბაიერნის" მაისურით 69 გოლის გატანა შეძლო, სამჯერ გერმანიის ჩემპიონი გახდა, სამჯერაც თასის მფლობელი. თავიდან სტაბილური იყო, ბოლოს კი ძალიან სუსტად გამოიყურებოდა.

ვალერიან ისმაელი - ფრანგი მცველი "ვერდერში" პირველად 2003 წელს გამოჩნდა. თავიდან ბრემენულ კლუბში არენდით თამაშობდა, მერე კი, "მუსიკოსებმა" მისი კონტრაქტი "სტრასბურიდან" სულ რაღაც 700 000 ევროდ გამოისყიდეს. ისმაელი "ბაიერნმა" 2005 წელს, 8.5 მილიონ ევროდ იყიდა. და ცნობილია, რომ რეკორდმაისტერმა 2008 წლამდე ბრემენს ყოველი სეზონის ბოლოს 500 000 ევრო უნდა უხადოს. ისმაელი პირველ სეზონში "ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო, მაგრამ ბოლო დროს სულ ტრავმირებულია. გასული სეზონიც ტრავმის გამო გაუცდა.

ანდრეას ჰერცოგი - ეს უკანასკნელი ბრემენიდან მიუნხენში 1995 წელს, 2.3 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაბარგდა, მაგრამ "ბაიერნში" გატარებული პირველივე სეზონის შემდეგ, ისევ "ვედერში" დაბრუნდა. ფაქტია, რომ ჰერცოგის ტრანსფერი "ბაიერნისთვის" დიდი შეცდომა იყო.

მარიო ბასლერი - სუპერმარიო ული ჰიონესმა "ვერდერიდან" 1996 წელს 4 მილიონ ევროდ შეიძინა. 1999 წელს ბავარიელებმა ბასლერი ცნობილი სკანდალის გამო დასაჯეს - ჯერ დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, 2000 წელს კი გუნდიდან გაუშვეს. ბასლერმა "ბაიერნში" არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა და რეკორდმაისტერის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებთან მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა.

ოტო რეჰაგელი - მოგვიანებით "მეფე ოტოდ" წოდებული მწვრთნელი "ვერდერიდან" "ბაიერნში" 1995 წელს გადავიდა. არადა, რეჰაგელი ბრემენულ კლუბს 14 წლის განმავლობაში თავკაცობდა, რაც იმ დროისთვის რეკორდი გახლდათ. მაგრამ რეჰაგელს მიუნხენურ კლუბში ერთი წელიც არ გაუტარებია. ოტო და "ბაიერნი" - ეს დიდი გაუგებრობა იყო.

იურგენ რიობერი - რიობერი ვეზერიდან იზარში 1981 წელს გადავიდა. რეკორდმაისტერში 14 თამაში ჩაატარა და ერთი სეზონის შემდეგ კანადას (კალგარი) მიაშურა. რიობერმა "ბაიერნში" ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

გოტფრიდ ლენცი

რუდი ფიოლერი, იუპ დერვალი, კარლ-ჰაინც რუმენიგე

დიდი მწვრთნელის მოსაგონარი

ატამანი ვერცხლის კულულით

გერმანია იუპ დერვალს უკანასკნელ გზაზე აცილებს...

გუშინწინ, **იუპ დერვალი** გარდაიცვალა, ვარსკვლავური ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო და უკანასკნელი მწვრთნელი. 80 წლის დერვალს გულმა უმტყუნა. პირველი ინფარქტი თხუთმეტი წლის წინათ დაემართა და მეორე ველარ გადაიტანა.

დერვალი 50-იან წლებში თამაშობდა ფეხბურთს, რამდენიმე მატჩი ითამაშა დასავლეთ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში, თუმცა 1954 წლის მუნდიალზე ის **ზეპ ჰერბერგერმა** გუნდში არ აიყვანა და დერვალიც მსოფლიოს ოქროს გარეშე დარჩა.

ფეხბურთელის კარიერით გაწბილებულმა დერვალმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ეს საქმე მან შვეიცარიაში დაიწყო, მერე სამშობლოში დაბრუნდა, დიუსელდორფის "ფორტუნა" 1962 წელს გერმანიის თასის ფინალში გაიყვანა, მაგრამ მერე ხანგრძლივი ჩავარდნა ჰქონდა, ოდენ რეგიონალლიგაში ამწვრთნელებდნენ.

იცით, რატომ იყო **ჰელმუტ შიონი** დიდი მწვრთნელი? გფრ-ის ნაკრებს ოქრო-ვერცხლი რამდენჯერმე მოაპოვებინა, ტოტალური ფეხბურთის ერთ-ერთი ფუძემდებელო იყო და საუცხოო ხედვაც ჰქონდა. სწორედ შიონმა დაიჯინა, 1970 წლიდან ჩემი თანაშემწე დერვალი უნდა იყოსო.

ევროპის 1972 წლის ჩემპიონატი და მსოფლიო 1974 - შიონისა და დერვილის განვრთნილმა ნაციონალმანშაფტმა ზეიდზედ ორი ოქრო მოიგო, 1976 წელს ევროვერცხლს დასჯერდა, ხოლო ორი წლის შემდეგ არგენტინაში გამართულ მუნდიალზე მედლის გარეშე დარჩა. შიონს ვერავინ გაუბედავდა, გადადექიო, მაგრამ ჰერ ჰელმუტმა საყვარელი კუბოკრული ქუდი კაცურად დაიხურა და წავიდა, დერვალზე კი თქვა, მას უკვე დამოუკიდებლად შეუძლია ნაკრების განვრთნაო.

დერვალმა რამდენიმე ახალგზარდა ფეხბურთელი მიიყვანა ნაკრებში - **ტონი შუმახერი, კარლ-ჰაინც ფიორსტერი, ჰანს-პეტერ ბრიგელი, კლაუს ალოფსი, ჰორსტ ჰრუბეში, ბერნდ შუსტერი, ჰანსი მიულერი** და 19 წლის **ლოთარ მათეუსი** - თითქმის ახალი გუნდი შექმნა, რომელთაც ისინიც დაუმატა, შიონის მთავარმწვრთნელობისას რომ იკიდებდნენ ფეხს ნაკრებში - **მანფრედ კალცი** და **კარლ-ჰაინც რუმენიგე**.

დერვილი სელექციაში უბადლო აღმოჩნდა. "ნაციონალმანშაფტი" ისევ ვარსკვლავური გუნდი გახდა. 1979 წელს დერვილმა ბუნდესთიმი თბილისში ჩამოიყვანა და ამხანაგურად გაეჯიბრა საბჭოთა ნაკრებს. საბჭოელთა კარს **ოთარ გაბელია** იცავდა. გერმანელებმა 3:1 მოიგეს, მაგრამ მასპინძლებს აბა, ვინ დასძრახავდა - მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავდა მეტოქედ.

ევროპის 1980 წლის ჩემპიონატი იტალიაში გაიმართა. რვა გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. გერმანელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკია (1:0), ჰოლანდია (3:2), ფრედ ითამაშეს საბერძნეთთან (0:0), ფინალში კი ბელგიას ძლიეს 2:1 .

იყო ასეთი კაცი გერმანულ ფეხბურთში - **მაქს მერკელი**, მწვრთნელი და შემდეგ "ბილდის" ჟურნალისტ-კოლუმნისტი. ის დიდად წარმატებული კალმოსანი გახლდათ, მეტაფორების, ირონიისა და თიკუნების შერქმევის ოსტატი. მან დერვილსაც გამოუძებნა მეტსახელი - ატამანი ვერცხლის კულულით.

დერვალს სწორი, სლიპინა თმა ჰქონდა, ხუჭუჭა არ იყო, მაგრამ მერკელის თიკუნი სწორედ ამაზე იყო გათვლილი და კიდევ იმაზეც,რომ დერვალს ყოჩური, ატამანური თვისებები სულაც არ გააჩნდა.მერკელის ასეთი გაშარჟება წარმატებული გამოდგა, დერვალს ეს თიკუნი შერჩა.

ის არ იყო პედანტი და მკაცრი. ფეხბურთელებს ბოლომდე ენდობოდა. დერვალმა მოახერხა და ნაკრებში დაბრუნა **პაულ ბრაიტნერი**, ვისაც 1976 წლის შემდეგ "ნაციონალმანშაფტში" არ ეთამაშა. დერვალს ის ესპანეთი'82-სთვის სჭირდებოდა.

"თუ ჩვენ ამ თამაშს ვერ მოვიგებთ, შემდეგი ვარჯიში სამშობლოში გვექნება," - თქვა დერვალმა 1982 წლის მუნდიალის პირველი მატჩის წინ. გერმანელების მეტოქე ალჟირი იყო და ... აფრიკელებმა 2:1 მოიგეს. დერვალს უკანდასახევი გზა თითქმის მოეჭრა, მაგრამ გუნდი ვარსკვლავური ჰყავდა და გერმანელებმა გზა ფინალამდე გაიკაფეს. ნახევარფინალში პენალტების სერიით საფრანგეთს რომ მოუგეს (ძირითადი დრო 3:3), ის მატჩი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაშია შესული თავისი ქრესტომატიულობითა და დრამატიზმით. ფრანგებთან ბრძოლამ გერმანელები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად გამოფიტა, ფინალში იტალიასთანაც შემტევი ფეხბურთის თამაში სცადა, მაგრამ 1:3 დამარცხდა.

ვერცხლი მსოფლიოზე წარუმატებლობად ვერ ჩაითვლებოდა. დერვალი ისევ ნაკრების თავი იყო, მაგრამ ნელ-ნელა სადავეები ხელიდან უსხლტებოდა. გუნდს ფაქტობრივად, წამყვანი ფეხბურთელები მართავდნენ და არა მწვრთნელი. ნაკრებიდან წავიდა ბრაიტნერი და ამან კიდევ უფრო ჩახლართა და არია სიტუაცია. ესპანეთში გამართულ მუნდიალზე შუსტერმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა, მერე კი სულ კონფლიქტი ჰქონდა ხან გერმანიის საფეხბურთო კავშირთან, ხან ნაკრების ფეხბურთელებთან. ესეც უარყოფითად მოქმედებდა დერვალის გუნდზე. მწვრთნელს ერთ-ერთი მოკავშირე და ვარსკვლავი ეცლებოდა.

ევრო 84-ის შესარჩევი გერმანიამ რის ვაი-ვაგლახით დაძლია, თუმც დერვალის სასელექციო უნარი ერთხელაც გამოჩნდა. მან ბრემენის "ვერდერის" შემტევ **რუდი ფიოლერს** უხმო. სარისკო გადაწყვეტილება იყო, დერვალმა ის მაშინდელი ბუნდესლიგის კორიფე ფორვარდებს, **კლაუს ალოფსსა** და **კლაუს ფიშერს** ამჯობინა.

ფინალურ ეტაპზე კარგად გამოჩნდა, რომ დერვალის რბილი ხასიათი მისი უმთავრესი ნაკლი იყო. რუმენიგემ, ვინც 1984 წელს ერთხელაც გახდა ბუნდესლიგის ბომბარდირი და შესარჩევ ეტაპებზე ყველაზე მეტი, 7 გოლი გაიტანა, საფრანგეთის სტადიონებზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. არადა, დერვალი გუნდის კაპიტანს ასი პროცენტით ენდობოდა. დასავლეთი გერმანია ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდანაც ვერ გავიდა.

ყველამ დერვალს შეახოცა ხელი, ყველაფერი მას დაბრალდა. საფრანგეთში არწასულმა შუსტერმა კი თქვა, ნაკრებს საბოლოოდ ვეთხოვები, დერვალი ფეხბურთელებს მამასავით ეპყრობოდა, მის დასაცავად კი კრინტი არავინ დაძრაო.

მიუხედავად მრავალი შემოთავაზებისა, გულნატკენი დერვალი გერმანიას გაეცალა და იმ დროისთვის ღრმა საფეხბურთო პერიფერიას მიაშურა - თურქულ "გალათასარაის" ჩაუდგა სათავეში და გუნდს ნაირგვარი თურქული ტიტულები მოაპოვებინა, თურქეთი კი ევროპულ ფეხბურთს აზიარა.

1987 წლიდან დერვალი პენსიაში გავიდა. ერიდებოდა პრესაში გამოჩენას, თითქოს განდეგილივით იყო ვარსკვლავური ფეხბურთის ერთ-ერთი უკანასკნელი შემოქმედი...

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდი

ბორუსიის ფარული გეგმა: სამეული

თუ შტუტგარტი ჩემპიონი გახდა, რატომ არ შეიძლება, რომ...

"კიკერის" წინასწარი გამოთვლებით, ბუნდესლიგის კლუბები სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ დაახლოებით 70 მილიონ ევროს დახარჯავენ. თუმცა ერთი რამ უკვე ცხადია: პოტენციურ დამხარჯველთა სიაში არაა დორტმუნდის "ბორუსია". BVB-მ ტრანსფერები დაასრულა, რასაც ამ გუნდის სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** სიტყვებიც მოწმობს. თუკი ამ მხრივ "ბორუსიაში" კიდევ რამე შეიცვლება, ერთადერთი ის, რომ შესაძლოა, ვესფალიელებმა რომელიმე ან რამდენიმე მოთამაშე გაუშვან, თორემ საზაფხულო შოპინგი უკვე დამთავრებულია. შესაბამისად, დორტმუნდული კლუბის მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** ერთადერთი სპეციალისტია 18 მწვრთნელიდან, რომელსაც შეუძლია, მშვიდად დაიწყოს მზადება, რადგან უკვე იცის, თუ რა კონტინგენტთან მოუწევს მუშაობა. BVB შეკრებას 1 ივლისიდან იწყებს.

"ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გვსურდა. შესაბამისად, ძალიან კმაყოფილები ვართ. ცოტა დავხარჯეთ, მაგრამ ისეთი ფეხბურთელები შევიძინეთ, რომლებსაც მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ," - აცხადებს ცორკი.

"ბორუსიამ" ბილეფელდის "არმინიიდან" მეორე მეკარის სტატუსისთვის გამოცდილი და სანდო გოლკიპერი, **მარკ ციგლერი** დაიმატა. ეს უკანასკნელი **რომან ვაიდენფელერის** დუბლიორი იქნება და ამთავითვე შეგუებულია იმ აზრს, რომ მთელ სეზონს სათადარიგოთა სკამზე გაატარებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ციგლერს თამაში მხოლოდ გერმანიის თასის მომდევნო ორ შეხვედრაში მოუწევს, რადგან ვაიდენფელერი დისკვალიფიცირებულია.

დორტმუნდელთა უმთავრესი საზრუნავი, "რეალში" გადაბარგებული **კრისტოფ მეტცელდერის** შემცვლელის პოვნა გახლდათ. ეს პრობლემაც მოგვარებულია: BVB-მ ტურინის "იუვენტუსიდან" ძალიან გამოცდილი მცველი, **რობერტ კოვაჩი** გადაიბირა. სხვა საქმეა, რამდენად ღირსეულად შეცვლის "ბებერი ქალბატონის" მიერ სავსებით სამართლიანად ათვალწუნებული კოვაჩი მეტცეს, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ კოვაჩი გამოცდილია და "იუვეში" გადასვლამდე "ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო.

"დორტმუნდმა" ყველაზე სოლიდური შევსება ნახევარდაცვაში მიიღო. კრაკოვის "ვისლადან" მოსული ახალგაზრდა პოლონელი ტალანტი **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკი**, მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი **ჯოვანი ფედერიკო** (კარლსრუედან) და "ბაზელის" ფლეიმეიქერი **მლადენ პეტრიჩი**, რომელიც შვეიცარიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და შვეიცარიის წლის ფეხბურთელი გახდა. ჯერ კიდევ არის იმის შანსი, რომ ვესტფალიელებმა "ჰამბურგიდან" გერმანიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **პიოტრ ტროხოვსკიც** ინათხოვრონ. ამ შემადგენლობას ემატება გამოცდილი არგენტინელი თავდამსხმელი **დიეგო კლიმოვიჩი**, რომელიც დორტმუნდელებმა "ვოლფსბურგიდან" გადაიბირეს. კლიმოვიჩი BVB-ს ძალიან სჭირდებოდა, რადგან როგორც იცით, **ალექსანდერ ფრაიმ**, რომელიც გერმანელმა გულშემატკივრებმა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მძიმე ტრავმა მიიღო და ოთხთვიანი იძულებითი შვებულება გამოიწერა. ამრიგად, ფრაი "ბორუსიას" სეზონის სტარტზე ვერ დაეხმარება, რის გამოც სასწრაფოდ ფორვარდის შეძენა გახდა საჭირო.

კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით გულშემატკივრებიც კმაყოფილები არიან. მართალია, 6-7 წლის წინათ "ბორუსია" ათჯერ უფრო სახელოვან ფეხბურთელებს ყიდულობდა და ათჯერ მეტსაც ხარჯავდა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სამი წლის წინათ ისტორიული გუნდი ფინანსური კოლაფსისა და გაკოტრების პირას იყო მისული, ერთგული ქომაგები შედარებით მოკრძალებული ტრანსფერებითაც დაკმაყოფილდნენ. "ბორუსიას" გერმანიაში ყველაზე ერთგული ფანები რომ ჰყავს, ამაზე არაერთხელ დაგვინერია. და აი, კიდევ ერთი ფაქტი, რაც ზემოთ თქმულ და არაერთგზის დადასტურებულ მოსაზრებას ამტკიცებს: მომავალი სეზონისთვის 31 000 აბონემენტი უკვე გაყიდულია. თვის ბოლომდე აბონემენტების შეცვლის უპირატესი უფლება ძველ გულშემატკივრებს აქვთ და დიდი შანსია, რომ "ვესტფალენშტადიონზე" ახლების ადგილი აღარ დარჩეს (!). მიზეზი ისაა, რომ "ბორუსია" ყოველწიურად მხოლოდ (თუმცა, რაღა მხოლოდ) 45 000 აბონემენტს ყიდის. სულ კი, "ვესტფალენშტადიონი", როგორც იცით, 81 000 მაყურებელს იტევს.

BVB-ს მიზანი ცნობილია: საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა და უეფას თასის საგზური. თუმცა ექსპერტთა გარკვეული ნაწილი "დორტმუნდს" გაცილებით მეტსაც უწინასწარმეტყველებს, კერძოდ, სამეულში მოხვედრასა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას. ყოველ შემთხვევაში, მას მერე, რაც გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" გახდა, გუნდი, რომლისთვისაც სამეულში მოხვედრაც უდიდესი წარმატება იქნებოდა, ბუნდესლიგაში არაფრის გამორიცხვა აღარ შეიძლება. არც იმის, რომ "ბორუსიამ" პირველი ადგილისთვის იბრძოლოს, რადგან BVB-ს "შტუტგარტზე" უკეთესი თუ არა, უარესი შემადგენლობა ნამდვილად არ ჰყავს...

თომას დოლი

გოტფრიდ ლენცი

პრედრაგ მიატოვიჩი

რეალი

გაახალგაზრდავება აუცილებელია?

პრედრაგ მიატოვიჩი "რეალის" გაახალგაზრდავების პოლიტიკას აგრძელებს. დღეს, ესპანეთის დროით 12 საათზე, სამეფო კლუბის ოფისში დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართება. ამ შეკრებაზე გენერალური დირექტორი კოლეგებს კიდევ ერთხელ დაარწმუნებს, რომ უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად ნიჭიერი ახალგაზრდების მოწვევაა საჭირო. ამჯერად მიატოვიჩი **როისტონ დრენტის** ტრანსფერის საკითხს დააყენებს დღის წესრიგში. ის ჰოლანდიელის 21-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს. აღსანიშნავია, რომ "ნარინჯისფრებმა" სულ მცირე ხნის წინათ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაიმარჯვეს. ექსპერტები დრენტს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და მიიჩნევენ, რომ უახლოეს წლებში პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა ნახევარმცველი გახდება. ბატონი პრედრაგიც სწორედ ასე ფიქრობს და კოლეგებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. მოგეხსენებათ, გენერალურმა დირექტორმა იანვარში **ფერნანდო გახო, გონსალო იგუაინი** და **მარსელო** გადაიბირა. ეს ტრანსფერები იმის დადასტურებაა, რომ გეზი მართლაც უსახელო, მაგრამ პერსპექტიული ახალგაზრდების მოზიდვისკენაა აღებული. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, მიატოვიჩის განცხადებას შემოგთავაზებთ: *"ბარსელონამ" ტიერი ანრი შეიძინა, ჩვენ კი დრენტს გადმოვიბირებთ. ის 10 წლით ახალგაზრდაა და გაცილებით უფრო იაფი ღირს. აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, რომ როისტონი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ფანტასტიკურ კარიერას გაიკეთებს. მოკლედ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მიზანს მივაღწიოთ. ვფიქრობ, სერიოზულ პრობლემებს არ წავაწყდებით."*

ხუან რომან რიკელმე

ვილიარეალი

რიკელმე ესპანეთში ბრუნდება

მანუელ პელეგრინისთან კონფლიქტის გამო, გასულ იანვარს **ხუან რომან რიკელმე** "ვილიარეალის" ხელმძღვანელობამ "ბოკა ხუნიორსში" გაანათხოვრა. რამდენიმე დღის წინათ საიჯარო ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და ძალა დაკარგა. რიკელმეს "ბოკა" ხელფასს, რა თქმა უნდა, აღარ გადაუხდის. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელმა სამშობლოში ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა და ბაირესულ გრანდს ლიბერტადორესის თასის მოპოვებაში დაეხმარა, პელეგრინის მისი დაბრუნება მაინც არ სურს. დიდი ენთუზიაზმით თავად რიკელმეც არ ინვის, მაგრამ შექმნილი სიტუაცია აიძულებს, რომ "ელ მადრიგალზე" დაბრუნებაზე იფიქროს: *"ვილიარეალთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. "ბოკა ხუნიორსში" გატარებული სეზონით უზომოდ კმაყოფილი გახლავართ, მაგრამ საიჯარო ხელშეკრულებას ვადა ამოწურა და იძულებული გახლავართ, "ლა ბომბონერა" დავტოვო. ჯერჯერობით, კონკრეტული შეთავაზებით არავის მოუმართავს. ამიტომ, "ვილიარეალში" უნდა დავბრუნდე და ახალი სეზონისთვის მზადებას შევუდგე. ვფიქრობ, ბევრი რამ ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული. კოპა ამერიკის შემდეგ ფრანსისკო როიგს შევხვდები. როგორც გავიგე, პელეგრინის ჩემი სახელის გაგონება კვლავ არ სურს. ვერ ვხვდები, რა უნდა პატივცემულ მწვრთნელს. როიგმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას. პირადად მე, კარიერის სხვა გუნდში გაგრძელებას ვისურვებდი."*

ვალენსია

კარბონიმ მესტალია დატოვა

პრეზიდენტმა ახალ გენერალურ დირექტორს კარტბლანში მისცა



ამადეო კარბონი

რამდენიმე დღის წინათ გამცნეთ, რომ **კიკე სანჩეს ფლორესისა** და **ამადეო კარბონის** დაუნდობელი ბრძოლა მთავარი მწვრთნელის გამარჯვებით დასრულდა. "ვალენსიის" პრეზიდენტმა იტალიელ ფუნქციონერს ზურგი აქცია და ფლორესს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. კარბონის გათავისუფლების შემდეგ გენერალური დირექტორის თანამდებობა ვაკანტური გახდა. **ხუან ბაუტისტა სოლერი** რამდენიმე უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მენეჯერთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ბოლოს პრეზიდენტმა **მიგელ ანხელ რუისზე** შეაჩერა არჩევანი. გუშინ "ღამურების" უმაღლესმა ხელისუფალმა სენიორ რუისი საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა. მოგვიანებით, ახალმა გენერალურმა დირექტორმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. თქვენს სამსჯავროზე მხოლოდ მოკლე ფრაგმენტს გამოვიტანთ: *"კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ. პირობას ვდებ, რომ მუხლჩაუხრელად ვიმუშავებ. ჩემს წინამორბედს არ გავაკრიტიკებ. ის ალბათ, შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ სატრანსფერო პოლიტიკაში ბევრი რამ არის შესაცვლელი. ერთ სეზონში რაოდენ დიდ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიო, ახალი სისხლის გადასხმა მაინც აუცილებელია. პრეზიდენტმა დამარწმუნა, რომ ბიუჯეტი სერიოზულად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. ასე რომ, სენიორ კიკე ფლორესთან ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ იმ ფეხბურთელთა სიას შევადგენთ, რომელთა გადმოსაბირებლად ბეჯით მუშაობას შევუდგებით."*

მიგელ ანხელ რუისის დასახასიათებლად იმის გახსენებაც საკმარისია, რომ 1995 წელს "ატლეტიკოს" მიერ პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე გამარჯვების საქმეში ლომის წილი დაიდო. ის ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა და ტრანსფერების განხორციელებაში უდიდეს როლს ასრულებდა.

ფერნანდო მეირა იუვეში?

პორტუგალიური გამოცემა "პუბლიკო" და გერმანული გაზეთი "ზუდდოიჩე ცაიტუნგი" ერთხმად იუწყებიან, რომ დიდი შანსია, "შტუტგარტის" კაპიტანი და პორტუგალიის ნაკრების მცველი **ფერნანდო მეირა** ტურინის "იუვენტუსში" გადაბარგდეს. *"იტალიური გრანდი მეპატიჟება, რაც ჩემთვის უდიდესი პატივია. თანაც, ამ გუნდის ხელმძღვანელებს ჩემი გადაბირება ძალიან უნდათ. სერია A-ში თამაშის პერსპექტივა მხიბლავს და ამას არც დავმალავ,"* - უთქვამს 29 წლის მცველს. მართალია, მეირამ შვაბურ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა, მაგრამ როგორც ამბობს, თუ VFB მისი გაყიდვის წინააღმდეგი არ იქნება, იტალიაში სიამოვნებით გადავა. "პუბლიკო" ირწმუნება, რომ ფერნანდოს გადაბირება "იუვენტუსს" სურს.

მარსელინიომ ბეტისს რასინგი არჩია

"ბეტისმა" მთავარი მწვრთნელობა "რეკრეატივოს" ყოფილ დამრიგებელ **მარსელიონიოს** შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ანდალუსიელები ახლა უკვე **ექტორ კუპერს** ეპატიჟებიან. არაოფიციალური ინფორმაციით, არგენტინელი სპეციალისტი თანახმაა. "ბეტისის" გუნდის შეფი **მანუელ რუის დე ლოპერა** უეფას თასის საგზურის მოპოვებას ისახავს მიზნად. მარსელიონიომ კი, ამასობაში, სანტანდერის "რასინგის" სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. ახალგაზრდა ესპანელმა სპეციალისტმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის 1.2 მილიონ ევროს მიიღებს. სანტანდერელები ტრანსფერებში 15 მილიონ ევროს დახარჯავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლიონელ მესისთან

გეშინოდეთ ბარსელონის!

არგენტინის ნაკრებში უდიდესი კონკურენციაა

24 ივნისს ლიონელ მესის 20 წელი შეუსრულდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და იმედისმომცემი ფეხბურთელია. გასულ სეზონში ლეომ "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში მოიკიდა ფეხი. თინეიჯერი ფორვარდისთვის ეს დიდი წარმატებაა, თუმცა მიმომხილველებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ტიერი ანრის ტრანსფერის შემდეგ მას პრობლემები შეექმნება. აღსანიშნავია, რომ თავად მესის ფრანგი ვარსკვლავის გამოჩენა ოდნავადაც არ აშინებს. პირიქით, არგენტინელი ანრის ტრანსფერით ძალიან გახარებულია. მისი თქმით, კარგია, რომ კატალონიურმა გრანდმა პლანეტის ერთ-ერთი უდიადესი ფორვარდი დაიმატა. ლეოს ვენესუელაში (ის კოპა ამერიკაზე სათამაშოდ ალბისელესტეშია გამოძახებული) "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი დაუკავშირდა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა.

- ლეო, გვითხარით, რა დაემართა "ბარსელონას"?

- პუიოლმა ტრავმა მიიღო (იცინის).

- ღვთის გულისთვის, ბოლო ამბებს ნუ გვიყვებით. ეს არავის აინტერესებს. რატომ დაკარგეთ ჩემპიონობა?

- მომიტევეთ, თუ გაგაღიზიანეთ. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ კარლესმა საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. როგორც ითქვა, ის ახალი სეზონის დებიუტს გამოტოვებს. გულწრფელად რომ გითხრათ, პუიოლის მდგომარეობამ ძალიან შეგვაშფოთა. უდავოა, რომ კაპიტანი ჰაერივით გვჭირდება. "ბარსელონის" დაცვა მის გარეშე ვერავის წარმოუდგენია. იმედია, სარეაბილიტაციო დრო გართულებების გარეშე ჩაივლის. უშუალოდ თქვენს შეკითხვას რაც შეეხება, სამწუხაროდ, ბოლო შეხვედრებში მრავალი ქულა დავკარგეთ და პირველი ადგილი "რეალს" დავუთმეთ. ბევრი მიზეზი შეიძლება ჩამოვთვალოთ. უიღბლობა, გადაღლა...

- თქვენს პრეზიდენტს თუ დავუჯერებთ, "ბარსელონას" პროფესიონალიზმი, ენთუზიაზმი და ერთსულოვნება აკლდა. ეთანხმებით ლაპორტას?

- სენიორ ლაპორტას ალბათ, საკუთარი არგუმენტები აქვს. ამ შემთხვევაში მას ვერ დავეთანხმები. ჩემი აზრით, "ბარსას" პროფესიონალიზმისა და ერთსულოვნების პრობლემა არასოდეს ჰქონია. ერთი წლის წინათ პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვეთ. მიმაჩნია, რომ იმ სეზონის შემდეგ პროფესიონალიზმი არ დაგვიკარგავს. აბსოლუტურად ყველა მოტივირებული და მონდომებული ვიყავით. ერთ ადამიანსაც ვერ იპოვით ჩვენს გუნდში, რომელიც იტყვის, რომ ტიტულების მოგებაზე არ ოცნებობდა. რა თქმა უნდა, ესპანეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა თასი დიდი მონაპოვარი გახლდათ, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ მიღწეულის შენარჩუნება არ გვსურდა და თამაში გვეზარებოდა? მერწმუნეთ, ამ შემადგენლობას იმაზე გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე წლეულს გავაკეთეთ. მჯერა, მომავალ სეზონში უმაღლეს მწვერვალებზე დავბრუნდებით.

- რონალდინიოს კრიტიკის დიდი ქარ-ცეცხლი დაატყდა თავს...

- როგორც ჩანს, ამ ხალხს ამნეზია აწუხებს. ერთ დღეს ის პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელია, მეორე დღეს კი იგივე ადამიანები მაწანწალასა და უსაქმურს უწოდებენ. ხშირად გამიგია, რომ მას სიზარმაცეში ადანაშაულებენ. თუ იცით, რატომ ხდება ხოლმე ასე? იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხშირად რონალდინიოს შრომას ვერავინ ამჩნევს. თუ მოედანზე ვერ ხედავენ ჭორაობას იწყებენ, ხედავთ, გაუჩო არ მუშაობსო. ამ დროს კი რონალდინიო დარბაზში ტრენაჟორებზე ვარჯიშობს ხოლმე. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში შვებულებაში არც კი გასულა. რონის არასდეს ეზარებოდა შრომა. უფრო მეტიც, უამრავი შემთხვევა მახსოვს, როცა ის ტრავმამოუშუშებელი გადიოდა მოედანზე და ბოლომდე იბრძოდა. გაუჩო გმირი და სამაგალითო ფეხბურთელია. უბრალოდ არ მესმის, რატომ გიჟდებიან, როცა რონალდინიო ამბობს, რომ დასვენება სჭირდება. განა, ის ჩვეულებრივი ადამიანი არ არის? ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს ადამიანი სულითხორცამდე პროფესიონალია. ბრაზილიელი მთელი სეზონის განმავლობაში მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდა და უდიდეს დახმარებას გვიწევდა. რა საჭიროა ბევრი საუბარი, ცოტაც მოითმინონ და ნახონ, რომ რონალდინიო ნამდვილი საფეხბურთო ფენომენია.

- როგორ ფიქრობთ, რა შეცდომები დაუშვა ფრანკ რიიკაარდმა?

- ბოლო წლების წარმატებებში ფრანკს უდიდესი დამსახურება მიუძღვის. გაიხსენეთ, "ბარსელონაში" ის მაშინ დაინიშნა, როცა გუნდს წლების განმავლობაში არაფერი ჰქონდა მოგებული. უმცირეს დროში გუნდმა უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო. პრიმერა დივიზიონში ორჯერ გავიმარჯვეთ. შარშან კი ჩემპიონთა ლიგაშიც ვიყოჩაღეთ. მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში ვერაფერი შევძელით, რიიკაარდის ღვაწლი მაინც განუსაზღვრელია. ჰოლანდიელის გარეშე "ბარსელონა" დასანგრევად განწირულ ქოხს დაემსგავსებოდა.

- ეს, ესაა, ლაპორტამ და ბეგირისტაინმა ტიერი ანრი ჩამოიყვანეს. როგორ აფასებთ ამ ტრანსფერს?

- ანრი დიადი ფეხბურთელია და ამიტომაც გახდა ბარსელონელი. მან გასული წლების განმავლობაში, ფაქტორივად, ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე მიღწეულმა ფენომენალურმა წარმატებებმა ტიერის გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბა. ძალიან მიხარია, რომ ამიერიდან ის "ბარსას" ინტერესებს მოემსახურება. 30 წლის ანრი რისკზე, რა თქმა უნდა, არ წავიდოდა. მან ძალიან კარგად იცის რა გუნდში, რა მიზნებისთვის ჩამოვიდა. დარწმუნებული გახლავართ, ჩვენს ახალ ფორვარდთან ერთად დიადი ამოცანების გადაჭრა ბევრად უფრო გაგვიადვილდება. ამასწინათ, სესკ ფაბრეგასს ველაპარაკე და მითხრა, რომ ტიერი არა მარტო გენიალური თავდამსხმელი, არამედ არაჩვეულებრივი ადამიანიცაა. მასთან დამეგობრება არ არის რთული, რადგან თავმდაბალი და უბრალო ბიჭია (იცინის).

- თქვენი აღფრთოვანება გასაგებია. ანრი მართლაც ფანტასტიკური ფორვარდია, მაგრამ მისი მოსვლის შემდეგ შეტევის ხაზში კონკურენცია ერთი-ორად გაიზრდება...

- კონკურენცია ოდნავადაც არ მაშინებს. პატარა ბიჭი აღარ ვარ და ზუსტად ვიცი, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში ფეხი მოვიკიდო. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება. ახლა ვერ გეტყვით, "ბარსელონა" რა სქემით ითამაშებს. გადაწყვეტილება ფრანკ რიიკაარდმა უნდა მიიღოს. რადგან ანრი იყიდეს, ესე იგი იციან, როგორ უნდა გამოიყენონ ის. მჯერა, მომავალ სეზონში უფრო ძლიერები ვიქნებით.

- მართალია არ შიშობთ, რომ გასული სეზონისგან განსხვავებით, სათადარიგოთა სკამზე მოგიწევთ დაჯდომა?

- არ მეშინია, რადგან ამ საკითხზე საერთოდ არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, შემწევს იმის უნარი, რომ ძირითადში თამაში დავიმსახურო. ყოველდღიური შრომით რიიკაარდს დავარწმუნებ, რომ ლეო მესი დასაწუნებელი ბიჭი არ არის.

- იმით ხომ არ იმშვიდებთ თავს, რომ სეზონი ხანგრძლივია და მოედანზე გასვლის შესაძლებლობა ყველას მიეცემა?

- არა. პირდაპირ ვიტყვი, ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად თამაშის პრეტენზია მაქვს. ვგონებ, გამონაკლისს არ წარმოვადგენ და "ბარსას" სხვა ფეხბურთელებიც ზუსტად ასევე ფიქრობენ. მართალია, 20 წლის ვარ, მაგრამ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმაოდ სერიოზულ მატჩებში მითამაშია და მნიშვნელოვანი როლიც შემისრულებია.

- მძიმე ტრავმის გამო, სამი თვე გაგიცდათ. თქვენს ადგილზე ბევრი გატყდებოდა, მაგრამ ლეო მესიმ უამრავ გამოცდას გაუძლო და მართლაც ფენომენალური პროგრესი განიცადა.

- დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. ყველა მეუბნება, რომ წელს საუცხოოდ გამოვიყურებოდი, მაგრამ კმაყოფილი მაინც არ ვარ. უკმაყოფილების მიზეზი, ცხადია, ყველასთვის გასაგებია. "ბარსელონამ" ვერანაირი ტიტული ვერ მოიპოვა. რა გაეწყობა, წარუმატებლობები სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ. აი, ნახავთ, მომავალ წელს გულშემატკივრებს უზომოდ გავახარებთ. მთელი წელიწადი "ბარსას" ჰეგემონიის ფონზე ჩავიცლის.

- კოპა ამერიკაზე რას გვეტყვით?

- ბასილემ შესანიშნავ შემადგენლობას მოუყარა თავი. ძირითადში მოხვედრა უდიდეს კონკურენციასთანაა დაკავშირებული. ვნახოთ, ვის მიანიჭებს უპირატესობას არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ერთი რამ უდავოა, "ალბისელესტე" ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. უზომოდ ბედნიერი და ამაყი ვიქნები, თუ ჩვენ ხალხთან საჩემპიონო ტიტულით დავბრუნდებით.

- დაბადების დღეზე საკუთარ თავს რაიმე საჩუქარი ხომ არ გაუკეთეთ?

- (იცინის) ერთადერთი საჩუქარი, "ბარსელონაში" დაბრუნება იქნება. მართალია, სეზონი ეს-ესაა დასრულდა, მაგრამ ჩემები ძალიან მომენატრნენ. ერთი სული მაქვს, დეკუს, რონალდინიოს, რიიკაარდსა და სხვა თანაგუნდელებს როდის ვნახავ. მერწმუნეთ, უდიდესი მოტივაციაა იმის გაცნობიერება, რომ "ბარსა" ერთსულოვანი გუნდია და ერთიანი ძალისხმევით ნებისმიერი ტიტულის დასაკუთრება შეგვიძლია.

- ანუ, დარწმუნებული ხართ, რომ მომავალ წელს "რეალს" აჯობებთ?

- რა თქმა უნდა. ამაში 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული. კიდევ ერთხელ ვიტყვი აღტაცებით, რომ ახლა ტიერი ანრიც დაგვემატა. კაცი, რომელიც გამარჯვებებისთვისაა დაბადებული. გეშინოდეთ "ბარსელონის"!

ილია ნიკოლაიშვილი

ბარსელონა

აბიდალი კამპ ნოუს უახლოვდება

ბეგირისტაინს რომიდან კოლეგამ ჩააკითხა. მოლაპარაკება კივუს ტრანსფერზე

გუშინ, **ერიკ აბიდალმა** ფრანგ ჟურნალისტებთან საუბრისას საინტერესო განცხადება გააკეთა: *"ჩემმა მენეჯერმა მითხრა, რომ ჩიკი ბეგირისტაინმა თანამშრომლობა შემოგვთავაზა. "ლიონის" ხელმძღვანელებს პირადად ვუთხარი, რომ "კამპ ნოუზე" გადასვლა მსურს. "ბარსა" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია. დარწმუნებული გახლავართ, იქ დიდ წარმატებას მივაღწევ. ისიც მხიბლავს, რომ "ბარსელონამ" რამდენიმე დღის წინათ ტიერი იყიდა. ის ხომ გენიოსი და ჯადოქარია. ანრის ტრანსფერის შემდეგ კატალონიაში წასვლა ოცნებად მექცა. დამნაშავე არ ვარ, რომ ფანტასტიკური ტრადიციებისა და ისტორიის მქონე "ბარსელონა" ამდენად მხიბლავს."*

ტრასფერების საქმეში ფეხბურთელის პოზიციას ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც ხედავთ, აბიდალს "კამპ ნოუზე" გადაბარგება სურს. ახლა უკვე კლუბების მესვეურები უნდა მოელაპარაკონ ერთმანეთს. როგორც გაირკვა, "ლიონი" აბიდალს 20 მილიონ ევროდ აფასებს. კატალონიელები კი ჯერჯერობით, მხოლოდ 12 მილიონს იმეტებენ. აღსანიშნავია, რომ ორი კვირის წინათ **ჩიკი ბეგირისტაინი** სულ რაღაც 9 მილიონზე საუბრობდა. ექსპერტთა ვარაუდით, თუ სენიორ ჩიკი თანხას 15 მილიონამდე გაზრდის, ტრანსფერის გაჩარხვას ვეღარაფერი შეუშლის ხელს.

ამასობაში, "რომას" სპორტული დირექტორი, **დანიელ პრადე** ბარსელონაში ჩაფრინდა. იტალიელი ფუნქციონერი კოლეგებს **კრისტიან კივუს** საკითხზე უნდა მოელაპარაკოს. როგორც მოგეხსენებათ, **კარლეს პუიოლის** ტრავმის შემდეგ "ბარსას" შეფებმა ცენტრალური მცველის სასწრაფო წესით შეძენა გადაწყვიტეს. მათ სწორედ კივუს დაადგეს თვალი. მხარეები სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებიან. რომაელებს შეთავაზებული 12 მილიონი არ აკმაყოფილებთ და 15 მილიონ ევროს ითხოვენ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სინიორ პრადეს ვიზიტის მიზანი კატალონიელებთან საერთო ენის გამონახვაა. სავარაუდოა, რომ კივუს ბედი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

დასასრულს, იმასაც მოგახსენებთ, რომ ბეგირისტაინმა **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს** ახალი სამსახური მოუძებნა. "ბარსელონამ" ჰოლანდიელი მცველი "ფეიენოორდს" გადაუყოცა. ესპანელები ჯიოს გასხვისებას ძალიან ჩქარობდნენ, რადგან მას მომავალ წელს ხელშეკრულება ეწურებოდა. თავისუფალი აგენტის სტატუსის შემთხვევაში, ფეხბურთელი "კამპ ნოუს" საკომპენსაციო თანხის გარეშე დატოვებდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჭიდაობა

კლუბები

აზოტი და ევროთასი

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ, ფიბას ოფისში ევროტურნირებზე ქართული კლუბის დარეგისტრირების მოთხოვნა პირველად გაიგზავნა. ეს იმას ნიშნავს, რომ 2007/08 წლების სეზონში რუსთავის "აზოტი" ევროთასებზე ითამაშებს? - იკითხავს მავანი. პასუხი მარტივია: განაცხადი კალათბურთის ფედერაციამ გაგზავნა და 10 ივლისამდე თავად "აზოტის" თანხმობაცაა საჭირო. მანამდე, თუ კლუბის უფროსობა არ გადაიფიქრებს, რუსთაველები ევროთასზე გამოვლენ. ასეთია სადღეისო მდგომარეობა. ამის წამკითხავს, შეიძლება, კიდევ არაერთი კითხვა გაუჩნდეს - რატომ უნდა გადაიფიქროს "აზოტის" ხელმძღვანელობამ ევროტურნირებზე თამაში? ან რა სისტემით გაიმართება 2007/08 წლების ევროთასის გათამაშება? ჯერ გუნდის უფროსს **გია სანაძეს** მოვუსმინოთ:

"ტურნირის ფორმატი ფიბამ ორიოდე დღის წინათ დაამტკიცა. სტრუქტურის გაცნობის შემდეგ, ორგანიზატორებს რამდენიმე კითხვა მივწერეთ და პასუხებს ველით. სადღეისოდ, გარკვეულია, რომ ყველა გუნდმა დარეგისტრირება 10 ივლისამდე უნდა მოასწროს. მანამდე, 2 ივლისამდე, კალათბურთის ფედერაციის წერილი უნდა გაიგზავნოს კლუბის დარეგისტრირების მოთხოვნით. ჩვენი ფედერაციიდან ეს წერილი გაიგზავნა, ხოლო 2-დან 10 ივლისამდე შევხედავთ, რამდენი გუნდი დარეგისტრირდება, რამდენი საკვალიფიკაციო ეტაპი იქნება გადასალახი ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად და ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას. ამჟამად, განაცხადი 17 ქვეყნის 30 კლუბს აქვს წარდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ თექვსმეტეულში მოსახვედრად ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა დაგვჭირდება".

ევროთასის ახალ სტრუქტურაზე კი "აზოტის" თავკაცი **დავით უსტიაშვილი** გვესაუბრება: *"თავდაპირველად, ლაპარაკი იყო ევროთასზე 36 გუნდის მონაწილეობაზე, შესაბამისად, გუნდები ორ ჯგუფურ ეტაპს ითამაშებდნენ და საკვალიფიკაციო ბარიერი გადასალახი აღარ იქნებოდა. მაგრამ ფიბას ხელმძღვანელობამ ამ ტურნირის ორ ეტაპად გაყოფა გადაწყვიტა. პირველი ეტაპი საკვალიფიკაციო მატჩები იქნება, მეორე კი ძირითადი, 16-გუნდიანი ეტაპი, რომელშიც გუნდები ოთხ ჯგუფად გაიყოფიან. თექვსმეტეულში მოხვედრა მომგებიანი იქნება, თუმცა მანამდე ძლიერ მეტოქეთა ბარიერების გადალახვა მოგვიწევს, რადგან საკლუბო რეიტინგში საქართველოს ნული უწერია. 2002/03 წლების სეზონის შემდეგ ჩვენი გუნდი ევროთასებზე არ გასულა. ვფიქრობ, დროა, ეს ვაკუუმი შევავსოთ".*

ბოლოს კი რამდენიმე თარიღზე შევჩერდებით. 10 ივლისი უკვე ვახსენეთ. 5 აგვისტოს ევროთასის წილისყრა გაიმართება, ხოლო შეჯიბრება 16 ოქტომბერს დაიწყება.

ვაჟა სიმონიშვილი

ითამაშებს საქართველოს ჩემპიონი ევროტურნირში?

ლეგიონერები

ესპანური ბრინჯაო ქართული ოთხეულისთვის

ესპანეთის ჩემპიონატი **ნიკა ცქიტიშვილმა** და **ვიქტორ სანიკიძემ** მაისის შუა რიცხვებში დაასრულეს. კიდევ ოთხმა ჩვენიანმა (**გიორგი ხანიაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, გრიგოლ კოხრეიძე** და **გრიგოლ შვანგირაძე**) გასულ კვირას დაუსვა წერტილი ამ სეზონს. მათ კადეტთა ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ხსენებული ოთხეული ტენერიფეს "არონაში" ვარჯიშობს და კლუბთან ერთად ჯერ კანარის კუნძულების ჩემპიონატი მოიგო (ფინალში "გრან კანარიას" გუნდი დაამარცხა), რის შემდეგაც ესპანეთის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

მეოთხედფინალში ტენერიფელთა მეტოქე "სალესიანოსი" იყო, რომლის ძლევა "არონას" არ გასჭირვებია - 71:44. სასტარტო შემადგენლობაში ორი ჩვენიანი გამოჩნდა: ხანიაშვილი და კოხრეიძე. ამ უკანასკნელმა ორმაგი დუბლიც შეასრულა: 12 ქულა და 11 მოხსნა. ხანიაშვილი კი სამ ქულას დასჯერდა. კვარაცხელიამ 6 წუთი ითამაშა და 2 ქულა მოუტანა გუნდს, ხოლო მატჩის სნაიპერი "ოქროს რეზერვი" შვანგირაძე გახდა. მის ანგარიშზე 16 ქულა და 9 მოხსნაა.

ქართველთა გუნდს ფინალში გასასვლელად ერთი ნაბიჯი დააკლდა, "გრან კანარიასთან" (რომელიც კანარების ჩემპიონატზე ჰყავდა დამარცხებული) ბოლო წამებზე წააგო. საფინალო სირენასთან ერთად, ერთ-ერთმა კანარიელმა 3-ქულიანი ჩააგდო (53:50) და თანაგუნდელები ფინალში გაიყვანა. ამ შეხვედრაში შვანგირაძემ 11 წუთი ითამაშა და მოედანი უქულოდ დატოვა. საერთოდ არ გამოჩენილა კვარაცხელია, სამაგიეროდ, ძირითადი ხუთეულის ორმა წევრმა, კოხრეიძემ და ხანიაშვილმა, ყველაზე მეტი, 12-12 ქულა მიითვალა. კოხრეიძემ ამჯერადაც ორმაგი დუბლი შეასრულა: 12 ქულა და 10 მოხსნა.

მესამე ადგილისთვის მატჩში "არონამ" "უნიკახა" 60:56 დაამარცხა. ერთმატჩიანი "ტაიმ-აუტის" შემდეგ კვლავ გაიბრწყინა შვანგირაძემ, რომელმაც 30 წუთში 22 ქულას, 11 მოხსნასა და 2 პასს მოუყარა თავი. კოხრეიძემ 20 წუთში 6 ქულა და 5 მოხსნა ჩაიწერა, ხანიაშვილმა კი 10 წუთში 6 ქულა. ესპანეთის კადეტთა ჩემპიონის წოდება მოიპოვა "გრან კანარიამ", რომელმაც "ხუვენტუდს" 57:54 სძლია.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდები

ორი ბრინჯაო ძალიან ცოტაა...



ნიკურაძე, ყველაზე დიდი იმედგაცრუება

ახალგაზრდა "თავისუფლებმა" ბელგრადში გუშინ დამთავრებული ევროპირველობა ორი ბრინჯაოთი დაასრულეს: პირველ დღეს, **გოჩა ლომთათიძის** (74) მიერ მოპოვებულ ბრინჯაოს გუშინ ანალოგიური სინჯის მედალი **ბექა ჭელიძემ** (84) შემატა. ტურნირის პერიპეტიებზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით და არც დასკვნებს გამოვიტანთ. დღევანდელი ნესებით, შემთხვევითობის ფაქტორი ძალიან დიდია, მაგრამ ორი ბრინჯაო მაინც ვერაა კარგი შედეგი. გუნდი საკმაოდ გამოცდილია, თანაც თაობათა ცვლის პროცესიც არ შეხებია იმდენად... აქ ისეთი ფალავნები დარჩნენ უმედლოდ, არა გვგონია, მწვრთნელმა **ნუგზარ სხირელმა** ამას რაიმე გამართლება მოუძებნოს... თუმცა დაველოდოთ მათ ჩამოსვლას...

უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა სიმცირის გამო, სპორტსმენებს მედლამდე გზა მნიშვნელოვნად უმოკლდებოდათ. 84 კგ-ში სულ 18 მონაწილე გამოდიოდა. შესაბამისად, ბექა ჭელიძეს ნახევარფინალში გასასვლელად ორი მოგება ეყო - სომეხ **გრიგორ გრიგორიანსა** და მაკედონიელ **ანგელკო კიროვსკისთან**. ნახევარფინალში მისი მეტოქე ლატვიელი **არმანდას ზვირბულისი** გახლდათ. ჩვენებურის გამოცდილებიდან და ლატვიური სკოლის სადღეისო დონიდან გამომდინარე, ფავორიტად ჭელიძე მიგვაჩნდა, მაგრამ... ზვირბულისმა ეს ორთაბრძოლაც მოიგო და მერე ფინალიც. ჭელიძემ "სანუგეშოში" იოლად დაამარცხა რუმინელი **ალექსანდრუ ოტვოსი** და ბრინჯაოს დასჯერდა.

ალბათ, ყველაზე დიდი იმედგაცრუება მძიმეწონოსან **გიორგი ნიკურაძის** უმეტლოდ დარჩენაა. არადა, მისგან თვით ოქროსაც ველოდით. ის ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორია. მან სულ სამი ბრძოლა გამართა და აქედან ორი წააგო. ვიმედოვნებთ, რუს **ბახტიარ ახმეტოვთან** და თურქ **ალი გურბუზთან** დამარცხება შემთხვევითობაა და არა კანონზომიერება. ნიკურაძეზე ყურადღებას ასე საგანგებოდ იმიტომაც ვამახვილებთ, რომ მოგავალში ის ეროვნული გუნდის ლიდერად მოიაზრება და არ გვსურს, ნიჭი ფუჭად გაფანტოს.

ბრინჯაოსთვის **ნიკოლოზ რეხვიაშვილმაც** იჭიდავა (66 კგ). "სანუგეშოს" ფინალში გასვლა მისი მაქსიმუმი აღმოჩნდა. ბულგარელ **ემინ ემინოვთან** და უკრაინელ **იგორ სკუპისთან** გამარჯვებების შემდეგ, ნახევარფინალში ის რუს **დარსამ ჯაფაროვთან** დამარცხდა. მედლის მოპოვების იმედი საბოლოოდ **ელმირ გამბაროვმა** გადაგვიწურა.

იასპარეზა **მურთაზ კვესაძემაც** (55 კგ), მაგრამ პოლონელ **რობერტ კროლთან** გამარჯვების შემდეგ, მოლდოველ **ივან გუიდეასთან** მარცხი ტურნირიდან უსახელო გავარდნად დაუჯდა.

დღეიდან, ორი დღით, ესტაფეტას გოგონები გადაიბარებენ, 30 ივნისს კი ჩემპიონატში "ანტიკოსები" ჩაებმებიან. პირველ დღეს ოთხი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები იჭიდავებენ. ჩვენებურთაგან ხალიჩაზე **ლაშა გოგიტაძე** (55 კგ), **გურამ კვერღელიძე** (66 კგ), **სერგო ნინუა** (84 კგ) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120 კგ) გავლენ.

ირაკლი თავაძე

ფარიკაობა

სალიცენზიო ქულები ინგლისიდან და ამერიკიდან

საქართველოში ფარიკაობა სპორტის იმ ოლიმპიურ სახეობათა შორის მოიაზრება, რომლის წარმომადგენლებსაც, სპეციალისტების ვარაუდით, შეუძლიათ იბრძოლონ ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად. რაც დრო გადის, ეს რწმენა უფრო მტკიცდება, მაგრამ ამავდროულად, ღრმავდება შიში სალიცენზიო ტურნირების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ამ დღეებში ორი ტურნირი გაიმართა. ერთი ნოუკასლში, მეორე კი ლას-ვეგასში. ორივე შეჯიბრება წარჩინებულთ სალიცენზიო ქულებს აძლევდა. ერთადერთი მოფარიკავე საქართველოდან, რომელიც ინგლისში, ეგრეთ წოდებულ, სატელიტურ ტურნირზე გამოვიდა, ეროვნული ნაკრების წევრი **კახაბერ მაღრაძე** გახლდათ. ეს მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი იყო. აი, რა გვითხრა რედაქციაში სტუმრობისას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **დავით სახვაძემ**, რომელიც ხსენებულ ტურნირზე ჩვენი მოფარიკავის ერთადერთი თანამდგომი და გულშემატკივარი იყო:

"მაღრაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით გადაჭრა ამოცანა: მთელი დღე დაუმარცხებლად იბრძოლა და ნახევარფინალში შეხვდა უძლიერეს იტალიელ მოფარიკავეს ალესიო ბონინოს, რომელთანაც მინიმალური სხვაობით დათმო პაექრობა - 13:15. იტალიელმა ეს ტურნირი მოიგო კიდეც. ხმლით მოფარიკავე მაღრაძე მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. ამით, მან ძვირფასი სალიცენზიო ქულები შემატა თავის აქტივს".

როგორც აღვნიშნეთ, მეორე ტურნირი (უკვე "გრან-პრი") ლას-ვეგასში გაიმართა. აქ **მიხეილ მომცელიძე** გამოდიოდა. ეს ხმლით მოფარიკავე ამერიკაში ცხოვრობს და დიდ ტურნირებში წარმატებითაც ასპარეზობს. საქართველოს სახელით კი ამჯერად პირველად გამოვიდა. მომცელიძემ მერვედფინალში გააღწია და იქ ბელარუს **დმიტრი ლაპკესთან** წააგო, თუმცა პირველი სალიცენზიო ქულები მაინც ჩაიწერა. აქვე ვთქვათ, რომ ბელარუსი მსოფლიო რეიტინგში მეოთხე ადგილზეა.

"როგორც ხედავთ, საქართველოს ნაკრების წევრებმა პირველი დამაჯერებელი ნაბიჯები გადადგეს პეკინის ოლიმპიადისკენ მიმავალ გზაზე. ვფიქრობთ, რომ თუ ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა სტაბილური იქნება, ფარიკაობაში უთუოდ გვეყოლება ოლიმპიელი", - თქვა სახვაძემ.

ელენე ამერიკასა და იაპონიაში

ფიგურული სიგიერობა. ამ სახეობის საერთაშორისო კავშირმა (ISU) 2007/2008 წლების სეზონის გრან-პრის კალენდარი გამოაქვეყნა. სულ ექვსი ტურნირი იქნება. სერიას "სკეიტ ამერიკა" გახსნის, რომელსაც 25-28 ოქტომბერს ქალაქი რიდინგი უმასპინძლებს. "NHK ტროფი" კი სერიას დაასრულებს, რომელიც 1-2 დეკემბერს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართება. ეს ორი გრანპრი იმიტომ გამოვყავით, რომ ამ სეზონში 17 ნლის ქართველი მოციგურავე ელენე გედევანიშვილი ამერიკასა და იაპონიაში ისრიალებს. გრანპრის ფინალური ტურნირი იტალიაში 13-16 დეკემბერს გაიმართება, იმედია ქართველი ფინალურ ეტაპზე მოხვედრას შეძლებს.

უკვე ცნობილია, თუ ექვსი გრანპრიდან ტოპმოციგურავეებს სად მოუნევთ ასპარეზობა. ამერიკაში ელენეს გარდა ისრიალებენ: მასპინძლები **კაროლინ ჟანი, კიმი მაისნერი** და **ემილი ჰიუზი**, კანადელი **მირა ლიუნგი**, ჩინელი **ბინშუ ქსუ**, იაპონელები **მაი ასადა** და **მიკი ანდო**. აგრეთვე ფინელი კიირა **კორპი**, რუსი **ალექსანდრა იევლევა**, იტალიელი **ვალენტინა მარკეი** და თურქი **თუგბა კარადემირი**. ტოკიოს გრანპრიზე სამი იაპონელი ისრიალებს: მიკი ანდო, **აკი სავადა** და **ნანა ტაკედა**, კორეელი **ჩაე-ჟვა კიმი**, ამერიკელები **ალისა შისნი** და **მეგან ოსტერი**, შვეიცარიელი **სარა მაიერი** და იტალიელი **კაროლინა კოსტნერი**, აგრეთვე კანადელი **ლესლი პოუკერი**, ჩინელი **იან ლიუ** და ფინელი **სიუზანა პოიკიო**. როგორც ხედავთ, ორივეგან ძალზე ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს.

გაისად (21-27 იანვარი) ევროპის ჩემპიონატს ხორვატიის დედაქალაქი ზაგრები უმასპინძლებს, მსოფლიო ჩემპიონატს (17-23 მარტი) კი შვედური გოტებორგი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბურთი

ჩახნაშვილი მერვედფინალში

მაკა ჩახნაშვილი (147) იტალიაში პადოვის ტურნირში (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი) მონაწილეობს. ჩახნაშვილმა ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ტურნირიდან გააღწია, ძირითადში კი ქართველი მესამე ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში მაკას მეტოქე ჩეხი **მიხაელა პასტიკოვა** (268) იყო, მოწინავე ასეულის ყოფილი ნევრი. მოულოდნელად, ჩახნაშვილს მეტოქის დამარცხება გაუჭირდა, ამისთვის მას მესამე სეტში ტაი-ბრეიკის მოგება დასჭირდა - 3:6, 6:4, 7:6 (2). მერვედფინალში ქართველის მეტოქე ბელარუსი **დარია კუსტავა** (196) იქნება. ჩახნაშვილი 21 ნლის კუსტავას ოთხჯერ შეხვედრია, აქედან სამჯერ ჩვენებურმა იმარჯვა.

შაფათავას უიღბლო დღე

თურქულ ქემერში (სტამბოლთან) 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, რომლის ძირითად ბადეში **სოფიო შაფათავამ** (629) გააღწია. პირველ წრეში 18 ნლის ქართველი ყირგიზ **ქსენია პალკინას** (554) ხვდებოდა, მატჩის ფავორიტი პალკინა იყო და ყირგიზმა ორ სეტში იმარჯვა - 4:6, 5:7. სოფიომ გუშინ კიდევ ერთი მარცხი განიცადა, **სოფიო ქვაცაბაიასთან** დუეტში წყვილთა თანრიგის მატჩიც დათმო გერმენელებთან (**პერკოვიჩი, სივეკე**) - 4:6, 6:7 (3).

მოულოდნელი მარცხი

16 ნლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** მოულოდნელად პირველივე სტადიაზე შეწყვიტა გამოსვლა ბრიტანულ როუჰემპტონში, რომელიც ახალგაზრდული უიმბლდონის გენერალური რეპეტიციაა. ოქსანა ახალგაზრდული ასპარეზის პირველი კატეგორიის ტურნირში ხორვატ **იასმინა ტინჯიჩს** ხვდებოდა, ჩვენებურმა 5:7, 4:6 წაგო. კალაშნიკოვა წყვილთა თანრიგში რუმინელ **ირინა ბეგუსთან** ერთად მესამე ნომრად არის განთესილი. უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირი 30 ივნისს იწყება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

ინტერვიუ სოსო მაისურაძესთან

შეღავათიანი სესხი წყალბურთის შეღავათისთვის

საქართველო 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე?

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები დაბრუნდა უკრაინის ღია პირველობის დასკვნითი ეტაპიდან, სადაც მესამე ადგილზე გავიდა. ქვეყნის ათგზის ჩემპიონი - მარიუპოლის "ილიჩევეცის" პირველი გუნდი, ამჯერადაც უძლიერესი იყო, მეორე ადგილი კი ლვოვის "დინამოს" ერგო. როგორც საქართველოს ნაკრების თავკაცი სოსო მაისურაძე ამბობს, რომ არა მასპინძელთა ეშმაკობა და შეჯიბრების სისტემის შეცვლა, მარიულელებს გვარიანად გაუჭირდებოდათ ტიტულის დაცვა. ამას გარდა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუშინ ერთი სასიამოვნო სიახლეც გაგვანდო, რომელიც ქართული წყალბურთის აღორძინების იმედს გვაძლევს...



სოსო მაისურაძე

- უკრაინის წლევანდელი ჩემპიონატი ისე წარიმართა, რომ მასპინძლებს ჩვენ და ბელარუსებმა არაერთი პრობლემა შევუქმენით. თუმცა, მსაჯების დახმარებითა და სხვადასხვა ხრიკებით, "ილიჩევეცს" საწყის ეტაპებზე ბევრი ქულა დააგროვებინეს და პრობლემები რომ აღარ შექმნოდა, ფლეი ოფები გააუქმეს. ჰოდა, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ბოლოს, ქულებით უკვე ვეღარავის დავეწეოდით. სისტემის შეცვლის გამო, ბელორუსები და მოლდოველები, ბოლო ტურზე აღარც ჩამოსულან. არადა, მასპინძლებს არც ჩვენ დავუდეთ ტოლი რამეში და ბელორუსებიც უკრაინელებზე მაღლა დგანან საერთაშორისო რეიტინგში. მოკლედ, დასკვნით ეტაპზე ოთხი მატჩი ჩავატარეთ. ხარკოვის გუნდთან მინიმალური სხვაობით დავმარცხდით. ანალოგიური სხვაობით, ოღონდ მსაჯების "დახმარებით", წავაგეთ მარიუპოლის მეორე გუნდთან. ამ შეხვედრაში, არბიტრებმა ჯერ მეკარე გაგვიძევეს უსამართლოდ, მერე კი შეკამათებისთვის, მწვრთნელებიც ტრიბუნებზე გაგვიშვეს. ავდექით და გამწარებულებმა ბოლო მატჩში, უკვე ჩემპიონი "ილიჩევეცი" გავანადგურეთ. ანგარიში ზუსტად არ მახსოვს, თუ არ ვცდები, 14-ბურთიანი სხვაობით ვიმარჯვეთ. ამას გარდა, ვძლიეთ სევასტოპოლის მეორე გუნდსაც. საბოლოოდ, მესამე ადგილზე გავედით "ილიჩევეცისა" და ლვოვის "დინამოს" შემდეგ.

- წლევანდელი სეზონი, ფაქტობრივად, დაასრულეთ. როგორც წინა ინტერვიუში გვითხარით, მომავალი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვნად ჩანდა. ხომ არაფერი შეცვლილა სასიკეთოდ?

- საბედნიეროდ, საქმეს მართლაც კარგი პირი გამოუჩნდა. ამას წინათ, შევხვდით მინისტრ გიორგი გაბაშვილს და სწორედ ამ შეხვედრამ ჩაგვისახა მომავლის დიდი იმედი. მინისტრთან ერთად, დავსახეთ ქართული წყალბურთის განვითარების გეგმა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურზე წასასვლელი თანხის შოვნაშიც ბატონი გიორგი დაგვეხმარა.

- ძირითადად, რა საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება წყალბურთის განვითარების გეგმაში?

უპირველეს ყოვლისა, ყველა ასაკში უნდა ჩამოვაყალიბოთ რაც შეიძლება მეტი წყალბურთის სექცია და კლუბი. თავისი გუნდი უნდა ჰყავდეს ყველა აუზს. ამასთან, გვინდა, რომ საქართველოში დავაბრუნოთ ლეგიონერები. ეს საშუალებას მოგვცემს, ჩამოვაყალიბოთ ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს. ყველაზე მთავარი, რაღა თქმა უნდა, არის საკუთარი ბაზა და ამ პრობლემის მოგვარების იმედიც გაჩნდა.

- სად გექნებათ ბაზა?

- ისანში, 5 დეკემბრის ქუჩაზე, მდებარეობს წყალბურთის უნიკალური, დახურული კომპლექსი. იქ არის 50-მეტრიანი, 25-მეტრიანი და ერთიც პატარა, ეგრეთ წოდებული, "საჭყუმპალაო" აუზები, რაც სავსებით საკმარისია. თბილისის "დინამოს" ვეტერანი წყალბურთელი ნუგზარ ერაძე და სხვა ვეტერანები ამ კომპლექსის გარემონტებასა და ჩვენს სამსახურში ჩაყენებას აპირებენ. ამისთვის, სახელმწიფოს სთხოვენ შეღავათიან კრედიტს. სამაგიეროდ, პირობას გვაძლევენ, რომ ექვს თვეში, რესტავრაციას დაასრულებენ და აუზი დღეში ხუთი საათით უფასოდ მოგვემსახურება. თუ ეს გეგმა განხორციელდა, ჩათვალეთ, რომ ქართულ წყალბურთს პრობლემები, ფაქტობრივად, გადაჭრილი ექნება და სხვა საწყლოსნო სახეობებსაც დიდი შეღავათი მიეცემათ. გიორგი გაბაშვილმა გვითხრა, რომ ისნის აუზის გასარემონტებლად კრედიტის გამოყოფა პრობლემა არ იქნება. ბატონი მინისტრი ძალიანაა მონდომებული, რომ წყალბურთი აღორძინეს და ეს ძალიან სასიამოვნოა. მეტიც - ჩვენს ერთ-ბლივ პროგრამაში მიზნად დავისახეთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა ითამაშოს. გეგმაზომიერად და სწორად მუშაობის შემთხვევაში, ეს სულაც არაა უტოპია. მოკლედ, წესით, მომავალი წლიდან უკვე უნდა გვქონდეს საკუთარი ბაზა. გაისადვე, 15-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას ვაპირებთ. ამას გარდა, ასევე ხანგრძლივი უქმობის შემდეგ, ეროვნული ნაკრებიც დაუბრუნდება ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებს.

- საკმაოდ საინტერესო და კარგი გეგმები გაქვთ, მაგრამ საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია რამდენიმე თვეა, რაც უპრეზიდენტოდაა. როგორ აპირებთ ამხელა პროექტის განხორციელებას პრეზიდენტის გარეშე?

- დროებითი პრეზიდენტი დავით რურუა "დინამოს" წყალბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი და დიდი ენთუზიასტი კაცია. სანამ ახალ პრეზიდენტს ავირჩევდეთ, იგი ჩვენი თანადგომით, ყველაფერს გააკეთებს, რომ პროექტი აღგილიდან დაიძრას. მერე კი პრეზიდენტიც გამოჩნდება, რომელიც აუცილებლად ჩვენი წრიდან უნდა იყოს და თავისი საქმე ძალიან უყვარდეს.

კობა ხატისაშვილი

სტუდენტური სპორტი



ნიკოლოზ ამაშუკელი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ერთი კვირის წინათ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზარდულ საქმეთა დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა. დელეგატთა ვადამდელი შეკრება ყოფილი პრეზიდენტის, მერაბ მეტრეველის თანამდებობიდან საკუთარი ნებით წასვლა იყო - მეტრეველს ჯანმრთელობის პრობლემები გაუჩნდა, ამავე დროს სხვა თანამდებობრივი დატვირთვაც აქვს, რის გამოც სრულყოფილ სამსახურს ვერ სწევდა. თანამდებობაზე თავიდან ორი კანდიდატი აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ყრილობის წინ კახა ჭუმბურიძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, რის გამოც ნიკოლოზ ამაშუკელი უალტერნატივო კანდიდატად იქცა; ყრილობამაც ერთხმად აირჩია იგი და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ანდო სტუდენტური სპორტის მესაჭეობა. ჩვენ ახალარჩეულ პრეზიდენტს შევხვდით და გავესაუბრეთ. ცხადია, სალაპარაკო უამრავია, რადგანაც ამ სფეროში ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, - თითქმის ჩამკვდარია სტუდეტური სპორტი და ძველი სიმაღლე და პრესტიჟი რომ დაუბრუნო, უდიდესი ენერგიის დახარჯვაა საჭირო. ახალგაზრდა პრეზიდენტს მომავლის შიში არა აქვს და ძალაც ერჩის. რას და როგორ განახორციელებს, ინტერვიუდან შეიტყობთ, იქამდე კი რესპონდენტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს მოგაწვდით.

დაიბადა 1978 წლის 16 აპრილს. 2001 წელს დაამთავრა როსტოვის ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება; 35-ე საფეხბურთო სკოლის კურსდამთავრებული - 2000 წლამდე თამაშობდა კლუბ "მრეტებში". 2000-2004 წლეში ხელმძღვანელობდა საქართველოს ბოდიბილდინგის ფედერაციას; 2004-დან 2007 წლამდე კი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გახლდათ.

ინტერვიუ ნიკოლოზ ამაშუკელთან

აპაღლორძინებით!

- ბატონო ნიკო, სტუდენტურ სპორტს დღეს ძალიან უჭირს და ეს თქვენ ალბათ კარგად მოგეხსენებათ. როგორ, რა გეგმის მიხედვით აპირებთ სტუდენტური სპორტული ცხოვრების გამოსწორებას?

- სირთულეები რომ არის და თანაც მრავლად, ცხადზე უცხადესია. თუმცა სირთულეებს არ ვუშინდები და ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ვეცდებით ავაღორძინოთ ეს სფერო. გარკვეული გეგმა გვაქვს და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, თუმც გეგმა შესაძლოა ყოველდღიურად დაიხვეწოს და ახალი იდეებიც გაჩნდეს. ამ ეტაპზე უმთავრესი მაინც უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო ურთიერთთანაშრომლობაა - სისტემატურად უნდა ჩატარდეს შიდა სტუდენტური თამაშები, რასაც ჩვენც შევუწყობთ ხელს. საბედნიეროდ, ქვეყნის ძირითადი უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა ჩვენთან თანამშრომლობაზე დიდი ენთუზიაზმით წამოვიდა და შეიძლება ითქვას, რომ უკვე კონკრეტული გეგმებიც დავსახეთ... ჩვენ ვთვლით, რომ აქცენტი ისეთ სპორტის სახეობებზე უნდა გაკეთდეს, რომელიც ქვეყნისთვისაც პრიორიტეტულია და უმაღლეს სასწავლებლებსაც შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა გააჩნია. ეს სახეობებია: კალათბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი... ყოველ სახეობაში სტუდენტური ლიგის ჩამოყალიბებასა და პირველობების მაღალ დონეზე ჩატარებას ვგეგმავთ. სასწავლებლებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, ჩვენი მხრიდან პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ გამგეობაში შევიყვანეთ უნივერსიტეტთა რექტორები და თვითმმართველობის პრეზიდენტები. ესენია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი გიორგი ხუბუა და თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი არჩილ მონონელიძე და თემურ დუნდუა; სამედიცინო უნივერსიტეტიდან რექტორი გია მენაბდე და ირაკლი გვილავა; აგრარული უნივერსიტეტიდან რექტორი გელა ჯავახიშვილი და ნინო შეწირული, ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიიდან რექტორი ელგუჯა გუგუშვილი.

- საქართველოში სტუდენტური, საუნივერსიტეტო სპორტის ბუმი იმ დროს ემთხვეოდა, როცა ქვეყანა სერიოზულ ფინანსურ დახმარებას უწევდა ამ სფეროს; შეწყდა სახელმწიფოს მხარდაჭერა და საქმეც გაფუჭდა. აღორძინების სურვილი კარგია და ენთუზიაზმიც მისასალმებელი, მაგრამ ფინანსებიც რომ საჭიროა? სახელმწიფოს კი, დღეს, არა მგონია შეეძლოს სათანადო მხარდაჭერა. როგორ და საიდან მოიზიდავთ საჭირო რაოდენობის თანხებს?

- სახელმწიფოს დახმარების იმედი უნდა გვქონდეს და გვაქვს კიდეც. სახელმწიფოს მხარდაჭერაში სპორტის დეპარტამენტისა და თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის თანადგომას ვგულისხმობ. ამ ორგანიზაციებმა უკვე აღგვითქვეს გვერდში დგომა და რეალურადაც ახორციელებენ, - სულ მალე ტაილანდში გაემგზავრება ქართული დელეგაცია, სადაც მსოფლიო უნივერსიადაში მიიღებს მონაწილეობას. ყველა ხარჯს სახელმწიფო სტრუქტურები იღებენ. ამას გარდა სპონსორების შეწევნის იმედი გვაქვს; მრავალ კომპანიასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და რამდენიმესთან - წარმატებულად; უახლოეს მომავალში, იმედია, სხვებიც შემოგვიერთდებიან. აქაც გვაქვს თანამშრომლობის უახლოესი მაგალითი: 26 ივნისს, 20:00 საათზე ვერის ბაღში კომპანია "ნატახტარის" პატრონაჟით მინი-ფეხბურთში ტურნირის ფინალი გაიმართა. სხვათა შორის, ტურნირზე 45 გუნდი შეიკრიბა, რაც ბოლო ათწლეულების უპრეცედენტო შემთხვევაა. ასეა, როცა არავითარი გადასახადი არ არის მონაწილეობისთვის დაწესებული და პრიზებიც სპონსორის შეწევნით გაიცემა.

- ნებისმიერ ფედერაციას სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საკუთარი ფულადი სახსრები უნდა გააჩნდეს. დღეისთვის რა ბიუჯეტს ფლობს თქვენი ფედერაცია და მომავალში რამდენი იქნება საჭირო, გეგმების განხორციელება რომ შეძლოთ?

- სამწუხაროდ, მიმდინარე წელს ფედერაცია დაფინანსების გარეშეა დარჩენილი, მაგრამ მომავალი წლიდან ყველაფერი რიგზე იქნება და იმდენ თანხას მივიღებთ, რაც პროექტებით იქნება გათვალისწინებული.

- თუ საიდუმლო არ არის, რა რაოდენობის თანხა იქნება მომავალ წელს საჭირო?

- ჯერჯერობით თანხის რაოდენობას ვერ გეტყვით, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამსახურს სულ ერთი კვირაა რაც შევუდექი და ბოლომდე დამუშავებული საკითხები არა გვაქვს. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და ბიუჯეტის დამტკიცებისას სრული სახით წარვადგენთ პროექტებს.

- უბიუჯეტო ფედერაციას სხვა სიკეთეების ნაკლებობაც ექნება. დღეს ინტერნეტისა და კომპიუტერის, კომუნიკაციების თანამედროვე საშუალების გარეშე სრულფასოვანი მუშაობა წარმოუდგენელია. ვხედავ, რომ ფედერაციის ოფისი ამ მხრივ ღარიბია. არ მიგაჩნიათ, რომ საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას ითხოვს?

- მართალი ბრძანდებით და, ცხადია, ამ კუთხითაც ვმუშაობთ. მართალია, ბიუჯეტში თანხები არა გვაქვს, მაგრამ ისევ და ისევ, სპონსორთა დახმარებით მოვაგვარებთ აღნიშნულ პრობლემას. უკვე მოველაპარაკეთ ერთ-ერთ ასეთ მხარდამჭერს, ვისი შეწევნითაც გავარემონტებთ ოფისს, შევიძენთ კომპიუტერებს, ფაქსს, ქსეროქსს, სხვა აუცილებელ ნივთებს... ამას გარდა, შევქმნით პრეს-სამსახურს, რათა საზოგადოებასთან პირდაპირი და უსწრაფესი კავშირი გვქონდეს. აუცილებელია უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობა და ასეთ სამსახურსაც შევქმნით. ერთი სიტყვით, სტუდენტური ცხოვრების გამოცოცხლებისთვის ყველა ღონეს ვიხმართ; ამ საქმეში მარტონი არა ვართ, ენთუზიაზმი საკმარისად გაგვაჩნია და გვჯერა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული ცხოვრება ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და სასურველი გახდება!

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონი

ნადალს სითბო ურჩევნია



წვიმამ ჩოგბურთელებს საქმე არ აცალა

უიმბლდონის ორგანიზატორები სამერმისოდ, ტურნირის მონაწილეებს გადახურვად ცენტრალურ კორტს დაახვედრებენ, რათა უამინდობის შემთხვევებში, ფავორიტებმა მაინც შეძლონ თამაში და ჩოგბურთის მოყვარულსაც მოსაწყენი არაფერი ჰქონდეს. გადახურვის სამუშაოები ცენტრალურ კორტზე უკვე დაწყებულია და რატომღაც, ამის გამო, ტურნირის უსაფრთხოების სამსახურმა თავისი მოვალეობის უკეთ შესასრულებლად, დამატებითი ზომების გატარება გადაწყვიტა.

წვიმა ბევრი ჩოგბურთელისთვის პრობლემის შემქმნელია, ბევრს კი მომდევნო ეტაპზე გასვლაში დაეხმარა. მათ შორის, ვისაც უამინდობა თავის შესაძლებლობათა გამოვლენაში ხელს უშლის, ყველაზე გამორჩეულია საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**.

ნადალს ნაკლებად ეხერხება ბალახზე თამაში. ამის მიუხედავად, მან შარშან უიმბლდონის ფინალში ითამაშა. თავად ამას იმით ხსნის, რომ შარშანდელ ტურნირზე კორტებს მზე ანათებდა და თბილოდა. როცა თბილა, ბალახის კორტი ოდნავ ნელი ხდებაო - ამბობს ესპანელი. მაგრამ სიგრილეში, კორტიდან ასხლეტილი ბურთი კიდევ სწრაფი ხდება და საფარიდანაც მაღლა არ ადის.

"ბალახი არასოდეს იცვლება. მასზე თამაში ყოველთვის განსაკუთრებულ მონაცემებს მოითხოვს. მაგრამ თუ მზე ანათებს, ის ოდნავ უფრო ნელი ხდება და ბურთსაც უკეთ გრძნობ", - ამბობს ნადალი.

ბუნებრივია, როცა კორტი "ნელდება", ეს ყველაზე მეტად ნადალს აწყობს, ვინც როლან გაროსზე ზედიზედ სამჯერ დაამტკიცა, რომ ნელი კორტების მეფეა. ბალახზე ის არასოდეს გამხდარა დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონი. და თუ ამჯერად მაინც შეძლებს ამას, მაშინ გაიმეორებს ლეგენდარული **ბიორნ ბორგის** 1978-80 წლების მიღწევას - იმ სეზონებში მან ერთმანეთის მიყოლებით მოიგო ჯერ საფრანგეთის ღია, შემდეგ კი უიმბლდონი. სხათა შორის, ბორგის შემდეგ მსგავსი შედეგი არავის ჰქონია.

ნადალს თუ წვიმის "ეშინია", ამინდის ჭირვეულობით იხეირა საფრანგეთის ღიას სერბმა ფინალისტმა **ანა ივანოვიჩმა**. უნგრელ **მელინდა შინკთან** პირველი წრის შეხვედრის პირველი სეტი მან მშრალად მოიგო, მაგრამ მეორე სეტის დასაწყისში, ცაცია შინკი გაძალიანდა. უფრო სწორედ, მან ბრეიკის აღება შეძლო. მაგრამ, როცა ანგარიში იყო 2-1 შინკის სასარგებლოდ და მისსავე მოწოდებაზე ანგარიში თანაბარი იყო, გაწვიმდა. ჩოგბურთელებს კორტის მიტოვება მოუხდათ. შეხვედრა 40 წუთის შემდეგ განახლდა. სერბმა უმალ აიღო მეტოქის მოწოდება, თუმცა თამაშის მოსაგებად მაინც ბევრი გარჯა დასჭირდა.რეიტინგში 133-ე ადგილზე მყოფმა შინკმა საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც მთავარი როლი გამოცდილებამ ითამაშა.

"წვიმა ძალიან დამეხმარა. პაუზის დროს მე მხოლოდ ჩემს შეცდომებზე და იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რათა ისინი არ გამემეორებინა. შეხვედრა კი კარგად დავიწყე. მაგრამ შემდეგ მან თავის თამაშში აგრესიას უმატა და ამით ძალიან დამაბნია. ყოველ შემთხვევაში, ტემპის ცვლილებას სწრაფად ვერ შევეგუე და ბრეიკიც ამის შედეგი იყო. მერე კი, როცა ჩემი და მისი თამაშის გაანალიზების საშუალება მომეცა, ყველაფერი დავალაგე", - განაცხადა 19 წლის სერბმა, ვინც პირველი სეტი სულ 19 წუთში მოიგო.

გუშინდელი დღის შეხვედრები ისევ წვიმის გამო ვერ დასრულდა. ბევრ ჩოგბურთელს, მათ შორის, მსოფლიოს პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერსაც**, თამაშის დასრულება დღეს მოუწევს. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ამინდი ამის საშუალებას მისცემს. ამინდის თაობაზე კი ბრიტანელი სინოპტიკოსები საიმედო პროგნოზს ვერ აკეთებენ - მათი ვარაუდით, ალბიონის თავზე ცა ამ კვირის ბოლომდე მოღუშული იქნება...

მერაბ ლორთქიფანიძე

ვაქები

მეორე წრე

ენდი როდიკი (აშშ, 3)-დანაი უდომჩოკე (ტაი) 6:3, 6:4, 7:6(3); **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 4:6, 6:3, 6:4, 7:6(1); **რიშარ გასკე (საფ, 12)**-ნიკოლა მაიუ (საფ) 6:4, 6:3, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 6:2, 6:7(3), 3:6, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ანდრეას ზეპი (იტა) 6:3, 6:2, 5:4.

ქალები

პირველი წრე

ანა ივანოვიჩი (სერბ, 6)-მელინდა შინკი (უნგ) 6:0, 7:6(3); **ელენა დემენტიევა (რუს, 12)**-ნატალი დეში (საფ) 6:2, 7:6(7); **დინარა საფინა (რუს, 13)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:5, 7:6(7); **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 14)**-კარინ ნაპი იტა) 7:6(6), 6:2; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 17)**-სუ-ვეი ჰში (ტაივ) 5:7, 6:3, 8:6; **ტატიანა გარბინი (იტა, 21)**-იან ძი (ჩინ) 3:6, 6:2, 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 22) 6:3, 2:6, 6:2; **მარა სანტანჯელო (იტა, 28)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:1, 3:6, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 29)**-ანე კრემერი (ლუქს) 5:7, 6:4, 6:3; **მარტინა მიულერი (გერ, 32)**-ანა სმაშნოვა (ისრ) 6:0, 6:0; **არავან რეზაი (საფ)**-შენაი პერი (აშშ) 6:2, 7:6(4); **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-კატალინა კასტანო (კოლ) 6:0, 7:5; **ტატიანა პერებიინისი (უკრ)**-ემანუელე გალიარდი (შვეი) 6:3, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:2, 6:1; **მეილენ ტიუ (აშშ)**-ედინა გალოვიცი (რუმ) 4:6, 6:2, 6:2; **სევერინ ბრემონი (საფ)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:4, 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან)**-ანასტასია იაკიმოვა (ბელა) 7:5, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბელა)**-ელენა კოსტანიჩ ტტშიჩი (ხორ) 6:3, 6:1; **აკიკო მორიგამი (იაპ)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:4, 6:0; **ტამირა პაშეკი (ავსტ)**-ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხ) 6:4, 7:6(3); **ნიკოლ პრატი (ავსტრა)**-კეისი დელაკვა (ავსტრა) 6:3, 6:4

მეორე წრე

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-ვერა დუშევინა (რუს) 6:0, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 3)**-იარმილა გაიდოშოვა (სლვკ) 6:1, 6:1; **სერანა იულიამსი (აშშ, 7)**-ალისია მოლიკი (ავსტრალ) 7:6(4), 6:3; **მარტინა ჰინგისი (შვეი, 9)**-აკიკო ნაკამურა (იაპ) 6:1, 6:2; **შაჰარ პეერი (ისრ, 16)**-კაია კანეპი (ესტ) 6:4, 7:5; **მარიონ ბარტოლი (საფ, 18)**-ოლგა გოვორცოვა (ბელა) 7:5, 6:2; **ლაურა გრენვილი (აშშ)**-სიბილ ბამერი (ავსტ, 20) 6:1, 6:4; **მილაგროს სეკერა (ვენ)**-სამანტა სტოშური (ავსტრალ, 27) 6:2, 5:7, 6:4; **ელენა ვესნინა (რუს)**-ემილი ლუა (საფ) 6:1, 6:2

ჩოგბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

29 ივნისიდან 1 ივლისამდე "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის" კორტებზე ტარდება ბიზნესმენთა ღია ტურნირი "ჯეოსელის თასი". ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად გეპატიჟებით ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელებს განურჩევლად ასაკისა და საქმიანობისა.

ტურნირზე ჩაწერა რეგისტრაცია გაიმართება პარასკევს 29 ივნისს 10:00 საათზე.

მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 29 ტელეფონი: 95 38 00; 95 27 81

TV სპორტი

28 ივნისი. ხუთშაბათი

იმედი

02:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-კოლუმბია (LIVE).
04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-აშშ (LIVE).

HTB-სპორტი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ეკვადორი-ჩილე.
14:10 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:45 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პალერმო.
18:30 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ეკვადორი-ჩილე.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 უძველესის მატჩების ანონსი.
20:45 ტოქ-შოუ - 2:1.
21:30 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-მექსიკა.
23:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ინტერი-ლოკომოტივი.
01:05 სასტვენი.

SPORT 1 (ინდოეთი)

08:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
09:05 სპორტინფორმი.
09:20 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვერდერი.
11:00 სპორტინფორმი.
11:11 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1962 წელი. ბარნლი-ტოტენჰემი.
12:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
14:35 ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი.
16:25 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაზია.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბეტისი.
21:20 სპორტული ისტორია.
21:30 სპორტინფორმი.
21:40 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.
22:25 სპორტინფორმი.
23:40 კრივი. ნოკაუტების ფამი.
00:30 სპორტინფორმი.
00:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
01:15 სპორტინფორმი.
01:25 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაზია.
04:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი.
05:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვერდერი.

EUROSPORT

10:30 ცხენოსნობა. სუპერლიგა. როტერდამი, პოლანდია.
11:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსტრავა. ჩეხეთი.
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ნორვეგია (LIVE).
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პოლანდიის გრან პრი (LIVE).
18:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსტრავა. ჩეხეთი.
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ნორვეგია (LIVE).
22:00 პროფესიული კრივი. სლოვენია.
23:00 პროფესიული კრივი. ბრიტანეთი.
00:00 ბრძოლა ნესლების გარეშე.
02:00 სნუკერი.
03:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.

EUROSPORT 2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სპორტინეგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სპორტინეგი.
12:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა.
13:00 ბილიარდი. პული, ევროტური. გერმანია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. რეალი-ბარსელონა.
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ნორვეგია (LIVE).
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ნორვეგია (LIVE).
19:00 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. რომა-მაკაბი. იტალია (LIVE).
20:45 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სპორტინეგი.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-იტალია. საფრანგეთი.
22:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-პოლონეთი. ბულგარეთი.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ბენეტონი-ფალეგრამი. იტალია (LIVE).
01:15 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ოლიმპია-ULEB-ის ყველა ვარსკვლავი. იტალია.
02:15 ახალი ამბები.
02:45 სპორტინეგი.
03:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

კოპა ამერიკა

ეკვადორი-ჩილე	2:3

ნორვეგიის თასი

ალესუნდი-ალგა	2:0
ბოდო გლიმტი-პიონეფოსი	1:0
დრამბაკი-ვიკინგი	0:2
ფრედრიქსტადი-ნილი	1:2
ალტესუნდი-ლოე ალმი	4:0
კონტრეტი-ბრანი	0:5
კონსბერგი-სტაბეკი	დ.დ. 2:5
ვოსი-სტრომსგოდსეთი	0:3
ნოსდალი-კონგსვინგერი	დ.დ. 2:1
ოდ გრენანდერ-ბოინბერგი	4:1
ოსლო-სტარტი	0:1
ბრომსონ-ბრომსდალენი	დ.დ. 4:1

შვედეთი

ალგარბიუ-ბოიტეგორგი	3:1

II დივიზიონი

ნორდმანინგი-ბორგრეტე	3:1

ინგლისი

კეფლავიკი-ფილკირკ	1:0
ბალერი-ბაფნარი	4:1

რუსეთის თასი

სსკ ენერგია-სატურნი	1:2
ვეტალერგ კუზბასი-ყუბანი	1:2
ვეტალერგი ს.-ლენინ ენერგია	1:0
ნოსტა-ფოსკოვი	1:1 პენ. 2:4
ტარალი-ლოკომოტივი	დ.დ. 1:0
ანგარა-ალანია	1:0
ბერეკი-სპარტაკი	1:1 პენ. 4:3
ავანგარდი-დინამო	0:3
სალუტი-ფოკი	0:0 პენ. 2:3
დინამო ს.-ზენიტი	1:4
ლოკომოტივი-რუბინი	1:2
რუბონი-ამკარი	1:4
ფიფანი-ნალჩიკი	დ.დ. 1:2
სსკ-რუბინი	0:3
ბორეეფი-ხიმკი	1:2
ბალტიკა-ცსკა	0:1

ცურვა

სენსაცია საფრანგეთის ჩემპიონატში

ორი დღის წინათ, საფრანგეთის ქალაქ სენ რაფაელში ქვეყნის პირველობა გაიმართა ცურვაში, სადაც 24 წლის **ალენ ბერნარმა** სენსაციური შედეგი აჩვენა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ბერნარმა დისტანცია 41.12 წამში დაფარა, რაც ყველა დროის მეოთხე შედეგი გახლავთ. 2005 წელს, მონრეალში ასეთივე დრო აჩვენა იტალიელმა **ფილიპო მანინიმ**. ხოლო ამ დუეტზე სწრაფად, 100 მეტრი მხოლოდ ჰოლანდიელ **პიტერ ვან ჰუგენბანდს** გაუცურავს. მსოფლიო რეკორდი მას 2000 წელს, სიდნეიში აქვს დამყარებული - 47.84 წამი. 2002 წელს, ბერლინში კი, ორი დღის განმავლობაში 47.97 და 47.86 წამი აჩვენა.

კლიმმა კარიერა დაასრულა

კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა ცნობილმა ავსტრალიელმა მოცურავემ **მაიკლ კლიმმა**. 29 წლის სპორტსმენის სიტყვებით, ის გრძნობს, რომ უკვე აღარ აქვს საკმარისი ენერგია პეკინის ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსასვლელად. გარდა ამისა, კლიმს სურს უფრო მეტი დრო გაატაროს ოჯახთან.

12-წლიანი კარიერის განმავლობაში, ავსტრალიელმა მოცურავემ ექვსი ოლიმპიური მედალი მოიპოვა, მათ შორის ორი ოქროსი (2000 წელს ესტაფეტებში). ამას გარდა, კლიმი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია. განსაკუთრებით წარმატებული იყო მისთვის 1998 წლის სეზონი, როცა ოთხ დისციპლინაში მოიგო მსოფლიო პირველობა და წლის საუკეთესო მოცურავედ დასახელდა.

ევროპა

ევროპა საბერძნეთის წინააღმდეგ

30 ივნისს, ათენში საინტერესო საკალათბურთო მატჩი გაიმართება. ევროპის მოქმედი ჩემპიონი, საბერძნეთის ნაკრები ევროპის ნაკრებს დაუპირისპირდება.

გუშინ, ცნობილი გახდა ევროპელთა შემადგენლობა, რომელშიც 15 კალათბურთელი შევიდა. ესენი არიან: ფორვარდები - **ვლადიმერ ბოისა** (საქართველო), **იგნასიო დე მიგელი** (ესპანეთი), **პრედრაგ სტოიაკოვიჩი** (სერბეთი), **ადამ ვოიჩიკი** (პოლონეთი); ცენტრები - **ტომას ვან დენ შპიგელი** (ბელგია), **ალექსეი სავრასენკო** (რუსეთი), **ნიკოლა ვუიჩიჩი** (ხორვატია); მცველები - **პასკალ როლერი** (გერმანია), **ანდრეა პეჩილე** (იტალია), **დრორ ჰაჯაჯი** (ისრაელი), **სანი ბეჩიროვიჩი** (სლოვენია), **მარკო პოპოვიჩი** (ხორვატია), **იანის ბლუმსი** (ლატვია), **იბრაჰიმ ქუთლუაი** (თურქეთი) და **ვიტალი ფრიძონი** (რუსეთი). ამ გუნდის მწვრთნელი იქნებიან **ჟელკო ობრადოვიჩი** (სერბეთი) და **კარლო რეკალკატი** (იტალია).

ლებრონი ოლიმპიადისთვის იბრძოლებს

"კლივლენდ კავალიერსის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** საბოლოოდ დათანხმდა ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში თამაშს. როგორც იცით, ამერიკის ნაკრები 22 აგვისტოდან ლას ვეგასში იბრძოლებს პეკინის საგზურისთვის.

ორიოდე თვის წინათ, ლებრონმა უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე, მაგრამ ახლა თავისი გუნდისთვის მნიშვნელოვან შეხვედრებში დახმარების გაწევა გადაწყვიტა.

ჯეიმსის გარდა, ამერიკის ნაკრებში ითამაშებენ: **კობი ბრაიანტი, ჯეისონ კიდი, კარლოს ბუზერი, ჩონსი ბილაპსი, დერონ უილიამსი, მაიკ მილერი, ტაიშონ პრინსი, ტაისონ ჩანდლერი, ამარე სტაუდმაიერი** და **მაიკლ რედი**.

ჟალგირისმა ცენტრი დაკარგა

თურქული პრესის ინფორმაციით, კაუნასის "ჟალგირისის" ცენტრალური თავდამსხმელი **ლორენ ვუდსი** (213 სმ) "ეფეს პილსენში" გადავიდა. ამ ამერიკელი კალათბურთელის გადაბირება, თურქული კლუბის ახალი მთავარი მწვრთნელის **დევიდ ბლატის** ინიციატივა გახლავთ.

ვუდსი კაუნასში ამა წლის მარტში ჩავიდა და "ჟალგირისს" ლიტვის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა.

ჯერალდ უოლასი შარლოტს ტოვებს

ტელეკომპანია ESPN-ის ცნობით, "შარლოტ ბობკეტსის" დატოვება აქვს გრანზრახული ფორვარდ **ჯერალდ უოლასს**. ამ უკანასკნელმა არ გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი და შესაბამისად, 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

უოლასმა "შარლოტის" შემადგენლობაში სამი წარმატებული სეზონი ჩაატარა. შარშანდელ რეგულარულში, ეს კალათბურთელი საშუალოდ 19.7 ქულას, 7.8 მოხსნასა და 2.2 ჩაჭრას აგროვებდა.

პოკერი

ტკაჩუკი ბლუზმენებში დაბრუნდა

ცნობილი ვეტერანი ჰოკეისტი **კეიტ ტკაჩუკი** იმ კლუბში ბრუნდება, სადაც თავისი კარიერის ძირითადი ნაწილი აქვს გატარებული. 35 წლის ფორვარდი მომავალ სეზონს "სენტ ლუის ბლუზის" შემადგენლობაში ითამაშებს. ტკაჩუკი გასული რეგულარულის მსვლელობისას, გაცვლის შემდეგ "ატლანტაში" აღმოჩნდა.

ამ ვეტერანისთვის მომავალი სეზონი მე-16 იქნება ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. ტკაჩუკს სულ 976 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 926 ქულაა (473 გოლი+452 პასი). მან ოთხჯერ ითამაშა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" და ორჯერ დაიცვა ამერიკის ნაკრების ღირსება ოლიმპიურ თამაშებზე.

ფორმულა 1

ავსტრალიის ეტაპი შტაბს შეიცვლის

ავსტრალიურმა გამოცემა The Age-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ავსტრალიის გრან-პრი ადგილმდებარეობას შეიცვლის. ახალი, სამხრეთ უელსის შტატის ხელმძღვანელობა ვიქტორიას შტატისგან, ფორმულა 1-ის ამ ეტაპის ორგანიზების უფლების მოპოვებას აპირებს.

თუმცა ეს გარიგება 2010 წლამდე არ შედგება, ვინაიდან "მელბურნ-პარკს" კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან.

ახალი სამხრეთ უელსის შტატის ხელმძღვანელობა ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის, **ბერნი ეკლსტოუნის** მოხიბვლას იმით აპირებს, რომ მას ღამის რბოლის გამართვას ჰპირდება.



კევინ გარნეტი

ინტერვიუ კევინ გარნეტთან

ლოს ანჯელესი საბოთხეა

სად ითამაშებს "მინესოტის" სუპერფორვარდი კევინ გარნეტი? კობი ბრაიანტის საკითხთან ერთად, ეს დამდეგი სატრანსფერო სეზონის მთავარი თემა იქნება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბოლო წლების გამორჩეული მოთამაშე თავის ძველ გუნდში აღარ დარჩება, ხოლო კევინის ახალ სავარაუდო სამუშაო ადგილების შესახებ, ჩვენს გაზეთში თითქმის ყოველდღე ვწერთ.
გარნეტის აყვანის მსურველი ბევრია, მაგრამ რას ფიქრობს ყველაფერ ამაზე თავად კალათბურთელი?
მოვუსმინოთ კევინს.

- კევინ, ერთადერთი გუნდი, ვისთანაც ბოლო დროს თქვენ ასოცირდებით, "ბოსტონ სელტიქსია"...

- ძალიან დიდი ტრადიციების გუნდია, სადაც ნებისმიერი მოთამაშე დიდი სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას, თუმცა ეს მხოლოდ საუბარია. როგორც ვიცი, "ვულვზის" ხელმძღვანელებისთვის კონკრეტული წინადადება არ გაუკეთებიათ. ასე რომ, ჯერ ადრეა "ბოსტონის" ვარიანტზე სერიოზულად საუბარი.

- "სელტიქსის" ბოსები მზად არიან, პოლ პირსს ხელშეკრულება გაუხანგრძლივონ, თუ ეს თქვენთვის დამატებითი მოტივაცია იქნება. ამაზე რა აზრის ხართ?

- ეს მათი საქმეა. ჩემი აზრით, პოლ პირსს ხელშეკრულება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაუხანგრძლივონ, რადგან იგი გუნდის სახეა. პირსი "ბოსტონისთვის" იგივეს ნიშნავს, რაც დუეინ უეიდი "მაიამისთვის", ტიმ დანკანი "სპურსისთვის" და ლებრონ ჯეიმსი "კავალიერსისთვის". თავისთავად, მათი მხრიდან პირსის კონტრაქტის მოშველიება მაცდურია, თუმცა ამასთან ერთად, ეს აპრობირებული ნაბიჯია. ჩემნაირი ვარსკვლავის გადაბირებაზე რომ დგება საუბარი, უნდა დამარწმუნონ, რომ იქ თამაში მიღირს. პირსთან ერთად გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივია, თუმცა უკვე გითხარით, რომ "ბოსტონის" ვარიანტი ჯერ პრიორიტეტული არ გახლავთ. სხვა ვარიანტებიც არსებობს.

- მაგალითად, "ლეიკერსი"?

- თუნდაც. "ლეიკერსში" ისეთივე დიდი ტრადიციებია, როგორც "სელტიქსში". თუ "ბოსტონს" პირსი ჰყავს, კალიფორნიაში ასეთი კობი ბრაიანტია. თანაც ლოს ანჯელესში ნებისმიერ სპორტსმენს ნამდვილი სამოთხე ელის - ყურადღება ფანებისგან, დადებითი ზეწოლა მასმედიისგან, ყოველთვის წინა პლანზე გამოსვლის პერსპექტივა.

- მასმედიისგან დადებით ზეწოლაში რას გულისხმობთ?

- ლოს ანჯელესში ყველაფერს საღად აფასებენ, მაგრამ ამასთან, ცდილობენ თუნდაც ერთი ჩაგდებული შეხვედრის გამო უარყოფითი ზეწოლა არ მოხდეს. შაკს თუ თამაში არ გამოსდიოდა, მას მიწასთან კი არ ასწორებდნენ, პირიქით - ამხნევებდნენ და იხსენებდნენ იმ მატჩებს, რომლებშიც ონილს იმავე გუნდის წინააღმდეგ 30-40 ქულა ჰქონდა გაკეთებული.

- "ლეიკერსში" გადასვლის შემთხვევაში, პირველ სეზონში სადღაც 6-7 მილიონის საფასურად მოგიწევთ თამაში.

- გადაწყვეტილი არც ესაა. დავთანხმდები თუ არა ნაკლებ ხელფასზე თამაშს? არ ვიცი, რადგან ყველა მოთამაშე რაღაც გარკვეულ თანხას იმსახურებს. მინიმუმ 16-17 მილიონი ვღირვარ და არ მესმის, თუ გუნდს სურს, რომ მათთან ერთად ვიყო, რატომ უნდა გავუწიო ანგარიში სხვის კონტრაქტს და ნაკლებ საფასურად გავიდე მოედანზე?

- დაახლოებით იგივე პრობლემა გქონდათ "მინესოტაშიც", სადაც ძლიერი პარტნიორები მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში გყავდათ.

- 2004 წელს, ჩემს გუნდში ლატრელ სპრიუელი და სემ კასელი იყვნენ. ძალიან კარგ ფორმაში იყო ტროი ჰადსონიც. მაგარი შემადგენლობა კი გვყავდა, მაგრამ კონფერენციის ფინალში "ლეიკერსმა" მაინც მოგვიგო. რაც შეეხება პრობლემას, მე მხოლოდ იმ თანხას ვიღებდი, რასაც ვიმსახურებდი, დანარჩენი კი გუნდის ხელმძღვანელებს უნდა გადაეწყვიტათ.

- შეძლებს თუა არა სპრიუელი პროფესიულ კალათბურთში დაბრუნებას?

- ხელისშემშლელ ფაქტორს ვერ ვხედავ. ლატრელის შესაძლებლობებში ყოველთვის დარწმუნებული ვიქნები და კარგი იქნება, თუ ეს მწვრთნელებსაც გაახსენდებათ.

- რამდენიმე თვის წინათ, სტივ ნეშმა მოაწყო საცეკვაო საღამო, სადაც თქვენც იყავით დაპატიჟებული...

- ანუ, "ბოსტონისა" და "ლეიკერსის" მერე, "ფინიქსია" ჩემი აყვანის მთავარი კანდიდატი? "სანზი" ბოლო წლების ერთ-ერთი სტაბილური, გამორჩეული გუნდია, სადაც ნეში, ამარე სტაუდმაიერი, შონ მერიონი და კიდევ ბევრი ძლიერი მოთამაშეა. "სან ანტონიოს" გაუმართლა "ფინიქსთან" სერიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონები "სანზის" მოთამაშეები გახდებოდნენ.

- ფინალურ სერიას თუ უყურეთ?

- დიახ. მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო.

- შეძლებს თუ არა "კლივლენდი" დიდ გუნდად ჩამოყალიბებას?

- ლებრონს თუ შეინარჩუნებს, მინიმუმ სამჯერ მაინც გახდება ჩემპიონი. შეიძლება მეტჯერაც, თუმცა ეს უკვე რთული იქნება.

- არსებობს თუ არა გუნდი, რომელიც კევინ გარნეტისთვის საოცნებოდ ითვლება?

- ეს გუნდი "მინესოტაა", თუმცა თუ ჩემი გაშვება აქვთ გადაწყვეტილი, მაშინ ჩემპიონობის მოპოვებას სხვაგან ვეცდები.

ზურაბ თალაკვაძე

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეფხაიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტფედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღმელი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა